ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა
მაკროეკონომიკის მიმართულება

ნინო მახარობლიშვილი

ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი
თემაზე:

„ეკონომიკური განვითარების თანამედროვე კონცეფციები და მათი გამოყენების შესაძლებლობები“

მეცნიერ ხელმძღვანელი:
ეკონომიკის დოქტორი
ასისტენტ- პროფესორი
მარინა ტაბატაძე

თბილისი

2019

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ეკონომიკური განვითარების კონცეფციები და მათი გამოყენების შესაძლებლობები თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზაციის პირობებში. ასევე, მაკროეკონომიკური განვითარების არსი, სოციალურ-ეკონომიკური კანონზომიერებები და პროგნოზირების კონცეპტუალური საფუძვლები. ლოგიკური თანმიმდევრობით განხილულია სხვადასხვა მეცნიერის მიერ შემუშავებული ეკონომიკური განვითარების კონცეფციები, როგორც კლასიკური, ისე არაორდინალური მიდგომები და თანამედროვე მსოფლიოში არსებული ტენდენციები. აღსანიშნავია განვითარების ეკონომიკაში უახლესი მიმართულება ინოვაციები, ტექნოლოგიური პროგრესი და ცოდნის ეკონომიკა. ეკონომიკურ განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები და ის მაჩვენებლები, რომლებიც განაპირობებენ ეკონომიკურ პროგრესსა თუ რეგრესს. ასევე, მსოფლიოს ტენდენციებთან ერთად საქართველოში არსებული მაკროეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური საფუძვლები და ტენდენციები. ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკური განვითარების საფეხურები და განხილულია, ქვეყნის განვითარების სტრატეგია, მისი ძირითადი პრიორიტეტები საპროგნოზო მაჩვენებლებთან ერთად.

Annotation

The paper deals with the concept of economic development and the possibilities of their use in the conditions of modern globalization. Also, the essence of macroeconomic development, socio-economic regularities and conceptual basis for prediction. The logical sequence deals with the concept of economic development developed by various scholars, both classical and extraordinary approach and trends in the modern world. It is worth mentioning the innovations in development economics, technological progress and knowledge economy. Factors operating on economic development and indicators that are responsible for economic progress or regression. Conceptual bases and tendencies of macroeconomic development in Georgia, along with the world trends. The paper describes Georgia's economic development stages and states the development strategy of the country and its main priorities with the forecast parameters

შინაარსი

შესავალი 5

თავი 1. ეკონომიკური განვითარების კონცეფციები და მათი როლი თანამედროვე ეკონომიკურ ტენდენციებში.....7

1.1 ეკონომიკური კონცეფციების როლი თანამედროვე გლობალიზებულ ეკონომიკაში.....7

1.2 ეკონომიკური განვითარების კლასიკური და არაორდინალური მიდგომები 10

1.3 ეკონომიკური განვითარების თანამედროვე კონცეფციები 17

თავი 2. ეკონომიკური განვითარება - კეთილდღეობის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი.....25

2.1 ეკონომიკური განვითარების მაკროეკონომიკური არსი.....25

2.2 ეკონომიკური განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პრინციპები და კანონზომიერებები 29

2.3 ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების კონცეპტუალური საფუძვლები.....36

თავი 3 განვითარების კონცეფციების გამოყენების შესაძლებლობები 42

3.1 მსოფლიო ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციები.....42

3.2 საქართველოს ეკონომიკური განვითარების თავისებურებები და მისი კონცეპტუალური მიდგომები 50

დასკვნა 71

გამოყენებული ლიტერატურა.....73

ინტერნეტ რესურსები:.....74

შესავალი

თემის აქტუალობა: განპირობებულია ეკონომიკური განვითარების თეორიების მნიშვნელობით თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში. ეკონომიკური განვითარების კონცეფცია არის განვითარების პროცესის გაგებისა და განმარტების გარკვეული წესი, მისი სისტემატური ანალიზის სახელმძღვანელო იდეა. ამიტომ ნებისმიერი მოდელის აგება და შემდეგ მისი პრაქტიკული გამოყენება იწყება კონცეფციიდან. ზოგადად, ეკონომიკური კონცეფციები მნიშვნელოვანია თანამედროვე გლობალიზებულ და ინტეგრირებულ მსოფლიო ეკონომიკაში, რადგან ამ ეკონომიკური პროცესების თეორიული გაგება გვაძლევს იმის საფუძველს, რომ შევაფასოთ მათი ზემოქმედება სხვადასხვა განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყნებზე.

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური კონცეფციების გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს სწორედ მათი გამოყენების შესაძლებლობები. მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება თუ რამდენად შესაძლებელია ეკონომიკური განვითარების კონცეფციების განხორციელება პრაქტიკაში და რა ეკონომიკური შედეგები შეიძლება ჰქონდეს ამ პროცესს. თემის აქტუალობა გამომდინარეობს აქედან, რომ განვიხილოთ ეკონომიკური განვითარების კონცეფციები და შემდეგ თეორიული ცოდნის საფუძველზე განისაზღვროს ქვეყნის ეკონომიკური სრულყოფის, ახალ თვისობრიობაში გადასვლის შესაბამისი გზა.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო ჯერ კიდევ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანად ითვლება, აღნიშნული საკითხი არ კარგავს აქტუალობას. მას შემდეგ, რაც ქვეყანა ჩაერთო გეგმური ეკონომიკიდან თვისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესში, საქართველო დადგა რადიკალური და სწრაფი ეკონომიკური რეფორმების განხორციელების აუცილებლობის წინაშე. ეკონომიკური განვითარების აქტუალურად განხილვის გარეშე კვლავაც მიუღწეველი რჩება ისეთი პრობლემების დაძლევა, როგორიცაა სიღარიბე და უმუშევრობა.

კვლევის მიზანია: წარმოაჩინოს ეკონომიკური განვითარების კონცეფციების მნიშვნელობა განვითარების პროცესში და ზოგადად თეორიების როლი მსოფლიოს

ეკონომიკაში თანამედროვე გლობალიზაციის გამოწვევების კვალობაზე, ასევე სხვადასხვა კონცეფციების ანალიზი და მათი ეფექტიანობის განხილვა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

აქედან გამომდინარე, კონკრეტულად ეკონომიკური განვითარების მიზანია მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება, რაც გამოიხატება სხვადასხვა პარამეტრების ზრდით, მათ შორის მნიშვნელოვანია ცხოვრების დონის ამაღლება, რომელიც გამოიხატება განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებით, სულიერი სიმდიდრისა და კომფორტის ზრდით.

თეორიული ეკონომიკის კონცეფციების განხილვის და შესწავლის მიზანი არის მათი, როგორც ამოსავალი, სახელმძღვანელო იდეის, პრაქტიკაში გამოყენება. თეორიების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაკლებად განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში და ყველაზე მეტად კი ისეთ ქვეყნებში, რომლებმაც განიცადეს ტრანსფორმაცია.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს მაკროეკონომიკური განვითარების კონცეფციები და განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები, სხვადასხვა მაკროეკონომიკური თეორიები, რომლებიც განაპირობებენ ეკონომიკურ პროგრესს.

კვლევის მეთოდები. ნაშრომში ჩატარებული კვლევის დროს გამოყენებულ იქნა ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები, სამეცნიერო სტატიები, კვლევები და ხელისუფლების მიერ შემუშავებული სტრატეგია აღნიშნულ სფეროში. გამოყენებულია ძირითადად თვისობრივი ანალიზი.

კვლევის მეცნიერული სიახლეა ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების ანალიზი დინამიკაში საქართველოს მაგალითზე. ნაშრომში განხილულია სხვადასხვა კონცეფციების გამოყენების შესაძლებლობები და მსოფლიო ტენდენციები ამ მიმართულებით.

თავი 1. ეკონომიკური განვითარების კონცეფციები და მათი როლი თანამედროვე ეკონომიკურ ტენდენციებში

1.1 ეკონომიკური კონცეფციების როლი თანამედროვე გლობალიზებულ ეკონომიკაში

ეკონომიკური კონცეფცია, ვიწრო გაგებით, არის ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების კვლევის სხვადასხვა მიმართულებების ამსახველი თეორია. ხოლო ფართო გაგებით - ეკონომიკური განვითარების ზოგადი თეორია ანუ მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ეკონომიკურ კანონზომიერებებს და იკვლევს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს სხვადასხვა ეკონომიკურ პროცესებს შორის. ეკონომიკურ თეორიას საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის წამყვანი ადგილი უკავია, რადგან ის ეკონომიკური განვითარების პროცესებს სწავლობს. ამასთან ეკონომიკური კონცეფციები ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგიური საფუძველი და ფუნდამენტია.

ეკონომიკური თეორია გადაწყვეტილებების მიღების კოორდინაციას გულისხმობს. ბაზრები, კორპორატიული იერარქიები და მთავრობები განიხილება, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი მმართველობის მექანიზმები და ეკონომიკა წარმოადგენს თითოეული მექანიზმის სათანადო როლს. გადაწყვეტილების მიღება კოორდინირებულია თითოეული მექანიზმის შრომის სათანადოდ გაყოფით.ზოგიერთი ეკონომიკური თეორია ასევე ხაზს უსვამს შესაბამისი ინსტიტუტების მნიშვნელობას გადაწყვეტილების მიღების ეფექტური კოორდინაციისთვის. კოორდინაცია ხდება ინსტიტუციური ჩარჩოების ფორმირებისა და შრომის განაწილების მმართველობის მექანიზმებს შორის, რომლებიც ძირითადად განიხილება შესაბამისი რაციონალურობის მიხედვით. მეორე მხრივ, პირდაპირი ურთიერთქმედების შედეგად მმართველი მექანიზმების დეცენტრალიზებული გადაწყვეტილების მიღება და მოლაპარაკებები ეკონომიკის თეორიული პერსპექტივაა.[1]

[1] Nielsen, K. (2016). *Economic theory.*

გლობალიზებულ ეკონომიკურ კონტექსტში კონცეფციებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან გლობალიზაცია მოითხოვს ღია ეკონომიკების საერთაშორისო ინტეგრაციას. სწორედ ეს პროცესი საჭიროებს მეთოდოლოგიურ ამოსავალ იდეას, რათა მოხდეს ქვეყნების კოორდინირებული ურთიერთობა.

ფილოსოფიური და ზოგად სამეცნიერო თვალსაზრისით განვითარება შეიძლება განისაზღვროს, როგორც ყველაზე მაღალი ტიპის მოძრაობა, რომელიც დამახასიათებელია არა კონკრეტული ობიექტებისთვის, არამედ სისტემებისთვის. ეკონომიკური განვითარება დაკავშირებულია სისტემური სტრუქტურის ცვლილებასთან, რაც ზრდის სისტემური ფუნქციის განხორციელების დონეს.

დროთა განმავლობაში ეკონომიკაში ჩამოყალიბდა განვითარების ორიგინალური და ღრმა კონცეფციები, რომელთა როლიც კიდევ უფრო გაიზარდა თანამედროვე, გლობალიზებული ეკონომიკის პირობებში.

სამეურნეო სფეროში სახელმწიფოს ამოცანების და ფუნქციების მასშტაბი მუდმივად იცვლება, რის მიზეზსაც საზოგადოებრივი ცხოვრების მზარდი სირთულე და სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის გავლენა წარმოადგენს. ამ ფონზე, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ცვლილებები მუდმივად მიმდინარეობს. ამიტომ სამეცნიერო საზოგადოებაში ზოგიერთი კონცეფცია უარყოფილია, ზოგი კი უფრო მეტად გაფართოებული.

მსოფლიო მნიშვნელოვანი ცვლილებების ეპოქაშია, რაც გამოკვეთს ეკონომიკური განვითარების ახალ ტენდენციებს და დაკავშირებულია გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბებასთან. ამ ტიპის ეკონომიკისათვის დამახასიათებელია ყველა ძირითადი ელემენტის გლობალურ დონეზე განხორციელება. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე ცვლილებები ყველა სფეროში საოცარი სისწრაფით ხდება, განსაკუთრებით კი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

ეკონომიკური განვითარება არის ის პროცესი, რომელიც გულისხმობს იმ მდგომარეობიდან, სადაც ადამიანთა უმრავლესობას გააჩნია შეზღუდული რესურსი და არჩევანი, სხვა მდგომარეობაში გადასვლას, სადაც საზოგადოება არ არის შეზღუდული

რესურსებსა და არჩევანში.[1] მსოფლიო განვითარების ამ ეტაპზე, სწორედ ეკონომიკის გლობალიზაცია გამოხატავს თანამედროვე ტენდენციას და მისი დამახასიათებელია ზუსტად არჩევანის თავისუფლება და რესურსების შეუზღუდავი რაოდენობა.

თანამედროვე მსოფლიო განვითარების სულ ახალ და ახალ საფეხურზე გადადის, რაც ცვლის საზოგადოების კეთილდღეობის დონეს, თუმცა ეკონომიკური განვითარების განსხვავებული ტენდენციები შეინიშნება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში. თუკი განვითარებად ქვეყნებში ჯერ კიდევ ტრანსფორმაციული პროცესები მიმდინარეობს, განვითარებულმა ქვეყნებმა მიაღწიეს იმ მდგომარეობას, რომ მიმდინარეობს საზოგადოების თვისებრივად სრულყოფა.

თვისებრივი განვითარება საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. რაოდენობრივი ზრდა, რომელიც გამოიხატება ღირებულებითი ფორმით მნიშვნელოვანი და აუცილებელია საზოგადოების კეთილდღეობისთვის, მაგრამ არასაკმარისი. ეკონომიკური განვითარება, რომელიც განაპირობებს თვისებრივ ცვლილებებს საზოგადოებაში, თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში უზრუნველყოფს განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლას, რის მეშვეობითაც ხდება ძვრები ეკონომიკაში არაღირებულებითი ფორმით. თანამედროვე ეტაპზე აღნიშნული თვისებრივი ცვლილებები გამოიხატება, მაგალითად არსებული პროდუქციის არა რაოდენობის, არამედ ხარისხის გაუმჯობესებაში, ძველი პროდუქციის წარმოებიდან ამოღებასა და პროდუქციის ახალი სახეობების წარმოებაში. აქედან გამომდინარე მაშინაც კი, როდესაც დაბალი ეკონომიკური ზრდის ტემპებია, სრულიად შესაძლებელია საზოგადოების სარგებლიანობის ზრდა.

გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და სისტემური გარდაქმნების ძირითადი თეორიული და მეთოდოლოგიური კონცეფციების განხილვა მნიშვნელოვანია არა იმდენად რეტროსპექტივაში, როგორც სამომავლო პერსპექტივაში. გარდა, ამისა მნიშვნელოვანია ამ კონცეფციების განხილვა უფრო მეტად განვითარებად ქვეყნებში,

[1] СЕМЧЕНКО, А. (2015). Концепции экономического развития в экономической науке. *Известия Гомельского государственного университета*.

ვიდრე განვითარებულში, ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკური სტრატეგიების ჩამოსაყალიბებლად სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური განვითარების კონცეფციებს.

1.2 ეკონომიკური განვითარების კლასიკური და არაორდინალური მიდგომები

მეცნიერებმა შექმნეს არაერთი თეორია ეკონომიკური პრობლემების საპასუხოდ და ასევე ეკონომიკური ზრდისა და განვითარების წასახალისებლად. თეორიები იქმნებოდა ეკონომიკური პოლიტიკის ფუძემდებლური იდეის წარმოსაჩენად.

კლასიკური ეკონომიკური თეორია დაიწყო მერკანტილიზმის კრიტიკის საფუძველზე. სიტყვა „მერკანტილზმს" პირველად ვხვდებით **ადამ სმიტის** ნაშრომებში. სმიტი წერდა, რომ არსებობს ორი ეკონომიკური სისტემა - სავაჭრო ანუ მერკანტილისტური და სასოფლო-სამეურნეო სისტემა. მერკანტილისტები აღიარებდნენ სავაჭრო კაპიტალის უპირატესობას სამრეწველო კაპიტალთან და ქვეყნის ძირითად სიმდიდრედ თვლიდნენ ფულსა და ოქროს. ასევე ისინი ცდილობდნენ ადმინისტრაციული წესით ქვეყნის სიმდიდრის გატანას საზღვრებს გარეთ.

ადამ სმიტი თავის ნაშრომებში აკრიტიკებდა მერკანტილიზმს, რადგან ის თვლიდა რომ ქვეყნის სიმდიდრე არა მარტო ფული და ოქროა, არამედ მიწა, შენობა-ნაგებობები და ეკონომიკური დოვლათი.[1] ქვეყნის სიმდიდრე მართლაც უკავშირდება ისეთ შეუფასებელ, ღვთისგან ბოძებულ რესურსს, როგორიცაა მიწა.

კლასიკური ეკონომიკური თეორიის წარმომადგენლებმა დაასაბუთეს, რომ სიმდიდრის წყარო უნდა ვეძიოთ არა მხოლოდ მიწათმოქმედებასა და ვაჭრობაში, არამედ მთლიანად წარმოებაში.

[1] მექვაბიშვილი, ე. (2016). *თანამედროვე ეკონომიკური თეორიები.* თბილისი.

ეკონომიკურ აზროვნებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა კლასიკოსი ეკონომისტის ადამ სმიტის ნაშრომმა „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“. ადამ სმიტს ეკუთვნის „უხილავი ხელის“ კონცეფცია, რომელიც მიიჩნევდა რომ ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად და კეთილდღეობის ზრდისთვის სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს ეკონომიკაში, რადგან იგი უპირატესობას ანიჭებდა თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას. ადამ სმიტი ამბობდა, რომ თავისუფალი ბაზარი ეკონომიკური განვითარების საფუძველს ქმნის მაშინ, როდესაც მოქცეულია ინსტიტუციონალურ და სამართლებრივ ჩარჩოებში. თუმცა ბევრი თავისუფალი ბაზრის მომხრე ეკონომისტი დღესაც იშველიებს ადამ სმიტის მოსაზრებებს ბაზრის რეგულირების მიზნით სახელმწიფოს ჩარევის გასაკრიტიკებლად.

კლასიკური თეორიული ეკონომიკის კიდევ ერთი წარმომადგენელია **დევიდ რიკარდო,** რომელიც ავითარებდა კლასიკური თეორიის სმიტისეულ ხარვეზებს, რიკარდო მწარმოებლურობის ამაღლებას საფუძვლად უდებს გამოშვებული პროდუქციის ამაღლებას. რიკარდოს დიდი წვლილი მიუძღვის შრომითი ღირებულების თეორიის შექმნაში, სადაც ის ეყრდნობა შეხედულებას, რომლის მიხედვითაც შრომა არის ხარჯებისა და ფასების მთავარი შემადგენელი.

შრომითი ღირებულების თეორია რიკარდოს შემდეგ განავითარა **კარლ მარქსმა.** მისი იდეოლოგიის საფუძველზე ჩამოყალიბდა **მარქსისტული თეორია.** ამ თეორიის მიხედვით ეკონომიკური კეთილდღეობა შრომის დამსახურებაა და შრომა, როგორც ყველა სხვა საქონელი ექვემდებარება მოთხოვნისა და მიწოდების კანონს, რის საფუძველზეც ხდება ხელფასის ზრდა ან შემცირება. ნებისმიერ საქონელს გააჩნია ორმაგი - მოხმარებისა და გაცვლის ღირებულება. მოხმარების ღირებულება გულისხმობს საქონლის უნარს დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნილება, ხოლო გაცვლის ღირებულება გამოიხატება იმ უნარში, რომ გაიცვალოს ერთი საქონელი მეორეზე. მარქსის მიხედვით შრომაც ორმაგი ღირებულების მქონე საქონელია. მოხმარების ღირებულება მდგომარეობს შემდეგში: შრომამ უნდა გარდაქმნას

ნედლეული ეკონომიკურ ქონებად, ხოლო შრომის გაცვლის ღირებულება გამოიხატება ბაზარზე მის შეფასებაში დამქირავებლებსა და მშრომელებს შორის.

თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიის ფუძემდებელია **ჯონ მეინარდ კეინზი,** მისი ნაშრომი „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“[1] გარკვეულ პასუხს წარმოადგენს გასული საუკუნის 30-იანი წლების „დიდ დეპრესიაზე“, რამაც განაპირობა კიდეც ამ წიგნის აქტუალურობა. იმ დროს კეინზის ნაშრომმა ჭეშმარიტი გადატრიალება მოახდინა ეკონომიკურ თეორიაში, სწორედ ამიტომ ლიტერატურაში ცნობილია „კეინზიანური რევოლუციის“ სახელწოდებით. კეინზს დიდი წვლილი მიუძღვის თეორიული აზროვნების შეცვლაში, რამაც გამოიწვია ბევრი მეცნიერის კრიტიკა. მათ შორის აქტიურობდნენ ნეოკლასიკოსები, რადგან კეინზი კლასიკურ სკოლაზე ამბობდა, რომ მათ იდეების შემოწმება თითქმის შეუძლებელია და ამიტომ არ შეუძლია ამ ჰიპოთეზებს გადაწყვიტოს სამყაროს ეკონომიკური პრობლემები. ასევე აღნიშნავდა, რომ კლასიკური სკოლის იდეები გათვლილი იყო ეკონომიკაში სრულყოფილ წონასწორობაზე, რის მიღწევაც პრაქტიკულად შეუძლებელია.

კეინზიანიზმი ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ეკონომიკურ თეორიაში, რომელიც წარმოიშვა მაკროეკონომიკური წონასწორობის კეინზიანური თეორიიდან და დიდი როლი შეასრულა თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიების ჩამოყალიბებაში. კეინზი ძირითადად იკვლევდა მასობრივ უმუშევრობას და ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპების გამომწვევ მიზეზებს. ამიტომ მას ხშირად „დეპრესიული“ ეკონომიკის თეორიას უწოდებენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ კეინზიანური მიმართულება კარგავს მაკროეკონომიკაში დომინანტის როლს.[2] ახალი კეინზიანელები ცდილობდნენ მოდელების კორექტირებას ფასებისა და არასრულყოფილი ცოდნის თვალსაზრისით. ტრადიციული კლასიკური თეორიისგან განსხვავებით, კეინზიანელები ამბობენ, რომ რეცესია ხდება ბაზრის

[1] მექვაბიშვილი, ე. (2016). *თანამედროვე ეკონომიკური თეორიები.* თბილისი.

[2] Archibald, R. W., & Sleeper, S. (2008). *Government Consolidation and Economic Development in Allegheny County.* RAND Corporation.

არეფექტიანობის გამო ამიტომ ისინი მიზანშეწონილად მიიჩნევენ სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში.

სამუელსონმა და **ჰიკსმა** განახორციელეს კეინზის მულტიპლიკატორის იდეა და ჩამოაყალიბეს **მულტიპლიკატორ-აქსელერატორის მოდელი,** როგორც საქმიანი ციკლის კონცეფცია. მულტიპლიკატორის იდეა მდგომარეობს შემდეგში: ინვესტიციების ზრდა განაპირობებს ეროვნული შემოსავლის მრავალჯერად ზრდას. ამ იდეას მათ შემატეს ახალი ფაქტორი: ინვესტიციები თავად სტიმულირდება გამოცოცხლებული ეკონომიკით, რისი წინაპირობაც სწორედ ეროვნული შემოსავალია. აქედან გამომდინარე ინვესტიციები და რეალური შემოსავლები ერთმანეთის ფუნქციებია. მათი ურთიერთზემოქმედების შედეგად ნეოკლასიკური სინთეზის მომხრეებმა ჩამოაყალიბეს საქმიანი ციკლური რყევების მოდელი, რომლის ზედა ზღვარს წარმოადგენს სრული დასაქმების უზრუნველმყოფელი ეროვნული შემოსავალი, ხოლო ქვედა ზღვარია ინვესტიციების მოცულობა.

ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიებიდან მნიშვნელოვანია **ზრდის თეორიები**, კერძოდ **სოლოუს ზრდის მოდელი**, რომელიც განიხილავს წარმოების მოცულობას, კაპიტალს, შრომასა და ცოდნის დონეს საზოგადოებაში. სოლოუს მოდელში წარმოების მოცულობის საწარმოო ფუნქცია გამოისახება შემდეგნაირად:

$$Y(t)=F(K(t),A(t)L(t))$$

სადაც t აღნიშნავს დროს. ამ საწარმოო ფუნქციიდან შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი მახასიათებელი, როდესაც მოცემული შრომის და კაპიტალის პირობებში იზრდება ცოდნის დონე, მაშინ ადგილი აქვს ტექნოლოგიურ პროგრესს.[1] თუ ტექნოლოგიური პროგრესი ვითარდება ისე, რომ კაპიტალის საშუალო მწარმოებლურობის ყოველი ფიქსირებული მნიშვნელობის დროს უცვლელი რჩება მისი ზღვრული მწარმოებლურობაც, ეწოდება ჰაროდის მიერ ნეიტრალური. ტექნოლოგიურ პროგრესს, რომლის დროსაც შრომის საშუალო მწარმოებლურობის ყოველ ფიქსირებულ მნიშვნელობას შეესაბამება მისი უცვლელი ზღვრული მწარმოებლურობა, ეწოდება

[1] romer, d. (1996). *advanced macroeconomics.*

ნეიტრალური სოლოუს მიხედვით, ხოლო თუ ტექნიკური პროგრესი ტექნოლოგიების სრულყოფას განაპირობებს ისე, რომ არ ცვლის კაპიტალისა და შრომის ზღვრულ მწარმოებლურობათა თანაფარდობას, მაშინ ასეთ პროგრესს ეწოდება ჰიკსის მიხედვით ნეიტრალური.[1] ნეოკლასიკური ზრდის მოდელებში გრძელვადიანი ზრდა არის განპირობებული ეგზოგენურად ანუ მოდელის გარეთ არსებული ფაქტორებით.

ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის კიდევ ერთი კონცეფციაა **მონეტარიზმი,** რომლის ფუძემდებლად და თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლება **მილტონ ფრიდმანი**. თავდაპირველად მონეტარიზმი შეისწავლიდა ფულზე მოთხოვნის საკითხს, შემდეგ კი მისი ანალიზის სფერო გაფართოვდა. მონეტარიზმის ძირითადი კონცეფცია მდგომარეობს იმაში, რომ ფულის მასის მყარი ზრდა, რომელიც აღემატება პროდუქციის გამოშვების ზრდას, იწვევს ინფლაციას. მონეტარისტებს ეკუთვნით აგრეთვე ის მოსაზრება, რომ ინფლაციის ზრდა თავდაპირველად იწვევს გამოშვების ზრდას, ხოლო მისი შემცირება ასევე გამოშვების შემცირებას ან მისი ზრდის ტემპის შემცირებას. ფრიდმანი აღნიშნავს: „ინფლაციის უშუალო მიზეზი ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივეა: ფულის რაოდენობის უზომო ზრდა წარმოების რაოდენობასთან შედარებით"(ნაშრომი „ინფლაცია და ფულადი სისტემები“ (1969)) ეკონომიკურ განვითარების საკითხს რაც შეეხება ფრიდმანი მიიჩნევს, რომ ინფლაცია არ არის ეკონომიკური განვითარების თანმდევი მოვლენა, ინფლაცია უფრო დამოკიდებულია პოლიტიკურ დაწესებულებებზე და ფინანსურ ბერკეტებზე. ინფლაცია თუ დადებითად მოქმედებს განვითარებაზე ეს მხოლოდ დროებითია და გრძელვადიან პერიოდში ის აუცილებლად უარყოფით შედეგს გამოიღებს.

ნეოკლასიკური თეორიის ერთ-ერთ კონცეფციად გვევლინება **რაციონალური მოლოდინების თეორია,** რომლის თანახმადაც რაციონალურად იქცევიან მომხმარებლები, მეწარმეები და მუშები, როდესაც შეიცნობენ ეკონომიკის ფუნქციონირებას და ამ ცოდნას გამოიყენებენ ეფექტიანად საკუთარი ინტერესების დასაცავად. საბაზრო სუბიექტები შეაგროვებენ ინფორმაციას, იმ მოვლენების

[1] ჩიქობავა, მ. (ლექციების კურსი). *ეკონომიკური ზრდის თეორიები.*

მოლოდინების ფორმირებისას, რაც მათთვის ფულადი ინტერესის საგანს წარმოადგენს. შემდეგ მოლოდინი იწვევს საბაზრო მოთხოვნის გაფართოებას, რაც განაპირობებს ფასების ზრდას სურსათზე. რაციონალური მოლოდინის თეორიის მომხრეები ამტკიცებენ, რომ საბაზრო სუბიექტებს წარსული გამოცდილების საფუძველზე უჩნდებათ მოლოდინები, ადამიანები კი უბრალოდ გატარებული პოლიტიკის მოსალოდნელ შედეგებს ვარაუდობენ და ამის მიხედვით იღებენ გადაწყვეტილებებს.

ზოგადად რაციონალური ადამიანი აკვირდება გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკას, იყენებს წარსულის გამოცდილებას და შემდეგ იღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომ მისთვის მაქსიმალურად შედეგიანი იყოს. რაციონალური მოლოდინების თეორიის მთავარი წარმომადგენლები არიან სარჯენტი და ლუკასი.

რაც შეეხება ნეოკლასიკური თეორიის კიდევ ერთ კონცეფციას **რეალური საქმიანი ციკლების თეორიას**, მისი ფუძემდებლები არიან **კუდლანდი** და **პრესკოტი.** მათ ჩამოაყალიბეს საქმიანი ციკლების თეორია, როგორც რაციონალური მოლოდინების ქცევის პარადიგმა. აღნიშნული თეორია პრაქტიკულად წყვეტს ისეთ საკითხებს, რომლებიც წარმოიშვა რაციონალური მოლოდინების თეორიის დროს, მაგალითად მიკროეკონომიკისა და მაკროეკონომიკურ დონეებს შორის პრაქტიკული კავშირების დანახვა.

რეალური საქმიანი ციკლის თეორიის სხვადასხვა მიმართულებები ემყარება **დინამიკურ სტოქასტიკური საერთო წონასწორობის კონცეფციას** (DSGE), რომლის თანახმადაც წონასწორობა მიიღწევა როგორც ეკონომიკაში შექმნილ სიტუაციაში, ისე უსასრულო ჰორიზონტზე მყოფ შესაძლებლობებსა და მომავალ შოკებზე წარმომადგენლობითი აგენტების ოპტიმალური რეაქციით.

ნეოკლასიკური სინთეზი წარმოადგენს კლასიკური და კეინზიანური თეორიების თავისებურ სინთეზს, რომელმაც ფართო აღიარება მოიპოვა ეკონომიკური ზრდის თეორიებში თანამედროვე პირობებში. ამ მოდელის შექმნასა და განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის **პოლ სამუელსონს.** თეორია მიზნად ისახავს კეინზიანური მაკროეკონომიკური თეორიების და ნეოკლასიკოსების მეთოდოლოგიის მეშვეობით

განისაზღვროს სახელმწიფო რეგულირების ოპტიმალური პირობები. ნეოკლასიკური სითეზი გულისხმობს ეკონომიკური რეცესიის პირობებში მოთხოვნის რეგულირების კეინზიანური მეთოდების გამოყენებას და საწარმოო სიმძლავრეების ამოწურვისას წარმოების ზრდის სტიმულირებას. აღნიშნული თეორია პრობლემათა ორ ჯგუფზე აკეთებს აქცენტს: ეკონომიკური დინამიკის წონასწორობა და პოტენციური შესაძლებლობების ზრდის სტიმულირების პრობლემები. მათ გადაჭრაში კი მაკროეკონომიკურ ასპექტებს ანიჭებს უპირატესობას.

სამუელსონის აზრით ნეოკლასიკური სინთეზის არსი გამოიხატება იმაში, რომ როდესაც შემოსავლის თეორიის კატეგორიით ვცდილობთ ფულადი და ფისკალური საკვანძო პრობლემების გადაჭრას, ამით ხელს ვუწყობთ კლასიკური ჭეშმარიტების აღდგენას.

რაც შეეხება ეკონომიკური განვითარების არაორდინალურ მიდგომებს, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია **შუმპეტერის ეკონომიკური განვითარების თეორია.** მან ეკონომიკის ციკლურობა ეკონომიკური ზრდის კანონზომიერებად განიხილა, ეკონომიკური აღმავლობის მამოძრავებელ ძალად კი ძირითად კაპიტალში ინვესტიციები დაასახელა[1].

შუმპეტერი ევოლუციონისტური განვითარების თეორიაში მთავარ ეკონომიკურ სუბიექტად მიიჩნევს მეწარმეს და სამეწარმეო საქმიანობაში კი მამოძრავებელ ძალად ინოვაციებს ასახელებს. ის მიიჩნევს, რომ ნოვატორები კონსერვატორებისგან განსხვავებით მუდმივად სიახლის ძებნაში არიან და ამის საშუალებით იმყარებენ პოზიციებს ბაზარზე.

მართლაც, ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ელემენტია ინოვაციები და ტექნოლოგიური პროგრესი. განვითარება ყოველთვის ნიშნავს ახალ, მეტად სრულყოფილ ეტაპზე გადასვლას, თვისებრივად სრულყოფას, რასაც ინოვაციები

[1] ანანიაშვილი, ი., აჩელაშვილი, კ., მესხია, ი., პაპავა, ვ., სილაგაძე, ა., & წერეთელი, გ. (2003). *მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები.* თბილისი: "მეცნიერება".

უწყობს ხელს. თანამედროვე მსოფლიოში უკვე შეუქცევადი ხასიათი აქვს ასეთი სახის პროგრესს, რადგან ყოველდღე კიდევ უფრო ვითარდება ტექნოლოგიური მიღწევები.

მეცნიერული გამოკვლევები ეკონომიკური განვითარების თეორიებს მიუძღვნეს **კონდრატიევმა** და **შუმპეტერმა,** რომელიც განვითარების მთავარ ფაქტორად მიიჩნევდა მეწარმეობასა და ინოვაციებს. კონდრატიევს კი ეკუთვნის ეკონომიკური კონიუნქტურის **დიდი ტალღების თეორია.** ის იკვლევდა ეკონომიკური დინამიკის კანონზომიერებებს. ეკონომიკური ციკლების კვლევაში კონდრატიევის დამსახურებაა თეორიული და ემპირიული მონაცემების ინტეგრირება და ამ ინფორმაციის საფუძველზე დიდი ციკლების კონცეფციის შემუშავება. თავის ნაშრომში „კონიუნქტურის დიდი ციკლები" მან აღნიშნა, რომ ეკონომიკური თეორია ცნობს 7-11 წლიან ციკლებს, თუმცა არსებობს კიდევ უფრო გრძელვადიანი ციკლები რომელიც შეიძლება გრძელდებოდეს 50-55 წელსაც კი, რომელსაც მან დიდი ეკონომიკური ციკლები უწოდა. ციკლების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის შესწავლისას კონდრატიევი მივიდა შემდეგ დასკვნამდე, რომ დიდი ეკონომიკური ციკლების აღმავალ ტალღაზე მოკლე და საშუალო კაპიტალისტური ციკლები ხასიათდება დეპრესიის მოკლევადიანობით და აღმავლობის ინტენსივობით, დიდი ციკლების დაღმავალ ფაზაზე კი პირიქით ხდება.[1]

კონდრატიევის ნაშრომში ეკონომიკური კრიზისი წარმოდგენილია, როგორც ხანგრძლივი რიგის კონიუნქტურული დეპრესია. ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების ამოსავალი წერტილია საქონლის ფასების დინამიკა და ეკონომიკური ციკლის პერიოდიზაცია, რომელიც დაფუძნებულია ორფაზიან მოდელზე.

1.3 ეკონომიკური განვითარების თანამედროვე კონცეფციები

საბოლოო ჯამში, ყველა ქვეყნის ეკონომიკა ცდილობს განვითარებას, რათა მოერგოს მსოფლიოს გლობალიზებულ პირობებში თანამედროვე ეკონომიკის გამოწვევებს. როგორც უკვე აღვნიშნე, თავდაპირველად აუცილებელია კონცეფციის

[1] მექვაბიშვილი, ე. (2016). *თანამედროვე ეკონომიკური თეორიები.* თბილისი.

ჩამოყალიბება ზოგადსისტემური პრინციპების გასაანალიზებლად და შემდეგ, თეორიების პრაქტიკაში დანერგვა ისე, რომ შეიქმნას წინაპირობა ეკონომიკური განვითარებისთვის და შესაბამისად კეთილდღეობის ზრდისთვის.

ერთმანეთისგან განასხვავებენ ეკონომიკური განვითარების რამდენიმე კონცეფციას, რომელიც ეფუძნება ამა თუ იმ პროცესსა და მოვლენას მათ შორის არაეკონომიკურსაც. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება მამოძრავებელი ძალებით და ეკონომიკურ სტაბილურობაზე ზემოქმედების ხარისხით, რომელიც ეკონომიკური განვითარების წინაპირობაა.

ტექნოლოგიური თეორიების მიხედვით განვითარების მთავარი მამოძრავებელია ტექნოლოგიები, ამ თეორიას უკავშირებენ **ლუის გენრი მორგანს.** რომელიც თავის ნაშრომში „ძველი საზოგადოება“ აღწერს კაცობრიობის ევოლუციის შვიდ სტადიას, რომელთაგანაც თითოეული უკავშირდება განსაზღვრულ ტექნოლოგიურ ინოვაციებს - ცეცხლის დაუფლება, მშვილდ-ისრის გამოგონება და ა.შ.[1]

ტექნოლოგიური მიდგომის გაგრძელებაა **ენერგეტიკული თეორიები,** რომლებმაც კაცობრიობის ეკონომიკური განვითარება დაუკავშირა ენერგიის ახალი ფორმების ათვისებას, როგორიცაა ცეცხლი, ორთქლი, ელექტროენერგია, თერმობირთვული ენერგია. ეს თეორიები თანამედროვე პირობებში განიცდიან მოდიფიკაციას, რადგან განსახილველად შემოდის ენერგიის წყაროთა შეზღუდულობა და მათი გამოყენების ეკოლოგიური შეზღუდვები.[2] ასევე არსებობს ბუნებრივი ფაქტორების თეორია, რომელიც კაცობრიობის განვითარებას ხსნის არსებული ბუნებრივ-კლიმატური რესურსებით. ამ თეორიაში ეკონომიკური განვითარება აიხსნება ქვეყნის გეოგრაფიული და კლიმატური მდგომარეობით.

---

[1] აბესაძე, რ. (2014). *ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი.* თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.

[2] ოქროცვარიძე, ა., ლაჭყეპიანი, თ., & ოქროცვარიძე, ლ. (2010). *მსოფლიო ეკონომიკა.* თბილისი: სტამბა "ზეკარი".

ინსტიტუციონალიზმი არის ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეორია, რომელიც განავითარა **მაქს ვებერის** შეხედულებებმა. კერძოდ, საბაზრო მეურნეობის განვითარება უკავშირდება ევროპული ცივილიზაციის სპეციფიკას და პროტესტანტული ეთიკის უნიკალურობას. ეს თეორია განიხილავს ასევე რელიგიური ფაქტორების ზემოქმედებას სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ამ თეორიის წარმომადგენლები მიიჩნევენ რომ ზრდას, რომელსაც თან არ ახლავს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის მდგომარეობის გაუმჯობესება, არ განიხილება განვითარებად. ასევე ეკონომიკური განვითარების ორიგინალური კონცეფციის ავტორია **თეოდორ შულცი,** რომელიც ინსტიტუციების ქვეშ მოიაზრებდა კარგად ინტერპრეტირებულ ქცევის წესებს, ადამიანური კაპიტალის ფორმებს, და მატერიალურ-ტექნიკურ ინფრასტრუქტურას. შულცი მიიჩნევდა რომ ფერმერთა ცოდნის დაბალი დონე აბრკოლებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ამ თეორიის წარმომადგენლები ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების ჩადებაში არ გულისხმობენ მხოლოდ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში დანახარჯებს, არამედ სახლში თვითგანათლების, ჯანდაცვის, მეცნიერების განვითარებისთვის, სამუშაო ადგილებზე გამოცდილების დაგროვების აუცილებელ კაპიტალდაბანდებებს.

ეკონომიკური განვითარების ახსნას ცდილობენ ასევე **დემოგრაფიული** ფაქტორით, რაზეც ყურადღებას ამახვილებდა მალთუსიც. **თომას მალთუსი** იკვლევდა სიღატაკის გამომწვევ მიზეზებს და თავისი თეორიის საფუძვლად არსებობისთვის ბრძოლის პრინციპებს იღებდა. მალთუსი სიღარიბის გამომწვევ მიზეზად ასახელებდა იმას რომ მოსახლეობის რაოდენობა იზრდება გეომეტრიული პროგრესიით, ხოლო რესურსები კი არითმეტიკულით.

სიღარიბის დემოგრაფიულ ფაქტორს განიხილავს **„სიღარიბის მანკიერი წრეების“ კონცეფცია,**[1] რომლის უმთავრეს დებულებას წარმოადგენს თანაფარდობა მოსახლების

[1] მექვაბიშვილი, ე. (2016). *თანამედროვე ეკონომიკური თეორიები.* თბილისი.

ზრდასა და ეკონომიკური პირობების ცვლილებებში. ეს თეორია მესამე სამყაროში სტაგნაციას ხსნის შიდა ბაზრის სივიწროვით. აქედან გამომდინარე შრომის მწარმოებლურობის დაბალ დონეს განაპირობებს კაპიტალის უკმარისობა. კეინზიანური ტრადიციის მიხედვით კი „სიღარიბის მანკიერი წრე“ პირდაპირ არის დაკავშირებული შემოსავლის დაბალ დონესთან, რაც ასევე განაპირობებს მოხმარებისა და დანაზოგების დაბალ დონეს. „სიღარიბის მანკიერი წრის“ თეორიის ლოგიკური განვითარებაა თვითუზრუნველმყოფელ ეკონომიკურ ზრდაზე გადასვლის თეორია, რომელსაც განვიხილავ როსტოუს ზრდის თეორიების სახით.

განვითარების ზოგიერთ თეორიაში უპირატესობა ენიჭება **ადამიანისეულ კაპიტალს,** როგორც ეკონომიკური განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას. სხვა თეორიებში აგრარულ ტექნოლოგიებსა და სასურსათო რესურსებს, რომლებიც ემიჯნებიან დემოგრაფიული განვითარების თეორიებს. მართლაც, ისტორიას თუ გადავხედავთ სწორედ მიწათმოქმედებაზე გადასვლამ მისცა ბიძგი დემოგრაფიულ აფეთქებას, თუმცა მოსახლეობის ზრდა უპირველესად განპირობებული იყო ცხოვრების დონის საერთო ზრდითა და მედიცინის წარმატებით.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კლასიკურ ლიტერატურაში ეკონომიკურ განვითარებაზე წარმოიშვა ოთხი ძირითადი და შეიძლება ითქვას, კონკურენტული კონცეფციაც:

1. წრფივი ეტაპობრივი ზრდის მოდელი;
2. თეორიები და სტრუქტურული მოდელის ნიმუშები;
3. საერთაშორისო დამოკიდებულების რევოლუცია და
4. ნეოკლასიკური თავისუფალი ბაზრის კონტრრევოლუცია.

ბოლო წლებში თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე ყურადღება გამახვილებულია სწორედ ამ კონცეფციებზე.

ეკონომიკური განვითარების სტადიების თეორია ამერიკელი ეკონომისტის **როსტოუს** სახელთანაა დაკავშირებული. ის აღნიშნავდა, რომ განვითარებადი ქვეყნის

გარდასახვა განვითარებულ ქვეყნად უნდა მოხდეს ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად. აქედან გამომდინარე როსტოუ გამოყოფს განვითარების ხუთ სტადიას:

- ტრადიციული საზოგადოება;
- აღმავლობისთვის წანამძღვრების შექმნა;
- აღმავლობა;
- მოძრაობა ტექნოლოგიური სიმწიფისკენ;
- მასობრივი მოხმარების საუკუნე.

ტრადიციულ საზოგადოებაში თითქმის არ ქონია ადგილი განვითარებას, მოსახლეობა უმეტესად დაკავებული იყო სოფლის მეურნეობით და ეროვნული შემოსავალი ძირითადად არამწარმოებლური იყო. მეორე სტადიაზე ხდება მნიშვნელოვანი ძვრები ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროში. მესამე სტადიაზე ინერგება ახალი ტექნოლოგიები და ადგილი აქვს სამრეწველო რევოლუციას, მეოთხე სტადიაზე ხდება ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარება და ბოლო, მეხუთე სტადიაზე ხორციელდება წარმოებიდან უკვე მასობრივ მოხმარებაზე გადასვლა.

ერთ-ერთი პრინციპული განვითარების სტრატეგია როსტოუს მიხედვით არის შიდა და საგარეო დანაზოგების მობილიზება, რათა ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისთვის შეიქმნას ინვესტიციები. ეკონომიკურ მექანიზმს, რომლის მიხედვითაც მეტი ინვესტიცია იწვევს მეტ ზრდას, ვხვდებით ჰაროდ-დომარის ზრდის მოდელში. **ჰაროდ-დომარის მოდელი** არის ფუნქციონალურ ეკონომიკური ურთიერთობა, რომელშიც მთლიანი შიდა პროდუქტის განაკვეთი დამოკიდებულია ეროვნულ წმინდა დანაზოგების მაჩვენებლებზე და უშუალოდ ეროვნული კაპიტალისა და პროდუქციის თანაფარდობაზე. ამ მოდელში იგულისხმება, რომ ეროვნული შემოსავალი კაპიტალის მოცულობის პროპორციულია. ჰაროდმა შემოიღო ასევე **გარანტირებული ზრდის ტემპის** ცნება, რაც იმას ნიშნავს, რომ მოცემული ზრდის ტემპის პირობებში ბიზნესმენთა მოლოდინები რეალიზდება. ჰაროდ-დომარის მოდელში არ არის აუცილებელი გარანტირებული ზრდის ტემპები ემთხვეოდეს რეალურად არსებულს.

ჰაროდმა გარანტირებულ ზრდის ტემპებთან ერთად შემოიღო **ბუნებრივი ზრდის ტემპი**, რაც გულისხმობს კაპიტალისა და ეროვნული შემოსავლის ზრდის ისეთ ტემპს, რომელიც უზრუნველყოფს მზარდი შრომის მიწოდების სრულ დასაქმებას. ჰაროდ-დომარის მოდელში დინამიკური წონასწორობა ეკონომიკური ზრდის პირობებში არამდგრადია, რადგან ზრდის ბუნებრივი ტემპი თუ აჭარბებს გარანტირებულს, მაშინ ეკონომიკა შეძლებს განვითარებას ზრდის გარანტირებული ტემპით კონიუნქტურული უმუშევრობის არსებობის პირობებში. მაგრამ შესაძლებელია ეკონომიკის ისეთი განვითარებაც, რომელიც მაღალია ზრდის გარანტირებულ ტემპზე, რადგან ჭარბი შრომითი რესურსებით შეიძლება დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა, რაც წარმოქმნის ეკონომიკურ ბუმს, რომელსაც შეუძლია დაარღვიოს წონასწორული ეკონომიკური განვითარების პირობები.

სტრუქტურული გარდაქმნების თეორია ყურადღებას ამახვილებს იმ მექანიზმზე, რომლითაც განვითარებადი ეკონომიკა გარდამავალ ეკონომიკურ სტრუქტურებს გარდაქმნის ტრადიციულ საარსებო სოფლის მეურნეობას უფრო ურბანულ, სამრეწველო, მრავალფეროვან წარმოებისა და მომსახურების ეკონომიკად. მართლაც, განვითარებისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია მრეწველობის ეკონომიკის ჩამოყალიბება. სტრუქტურული გარდაქმნების თეორია იყენებს ნეოკლასიკურ ღირებულებებს და რესურსების განაწილების თეორიას. ასევე თანამედროვე ეკონომეტრიკის ინსტრუმენტებს იმის აღსაწერად თუ როგორ ხდება ტრანსფორმაციის პროცესი. სტრუქტურულ გარდაქმნებს ეხება ასევე **ლუისის განვითარების თეორიაც.** ამ მოდელის მიხედვით განვითარებადი ეკონომიკა შედგება ორი სექტორისგან. პირველი ეს არის ტრადიციული გადამეტებული სოფლის საარსებო სექტორი, რომელიც ხასიათდება ნულოვანი მარგინალური შრომის პროდუქტიულობით, და მეორე მაღალპროდუქტიული, ურბანული, ინდუსტრიული სექტორი. მოდელში ძირითადად აქცენტი კეთდება შრომითი რესურსების გადაცემის პროცესზე თანამედროვე სამრეწველო სექტორში და დასაქმების ზრდა.

შემდეგი კონცეფციები ეხება ეკონომიკური განვითარების პრობლემებს. 1970-იან წლებში საერთაშორისო დამოკიდებულების მოდელებმა მოიპოვა მხარდაჭერა განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების ინტელექტუალების მხრიდან. ეს მოდელები განიხილავენ სწორედ განვითარებად ქვეყნებს ეკონომიკური, პოლიტიკური და ინსტიტუციონალური თვალსაზრისით, შიდა და საერთაშორისო დომინანტური დამოკიდებულებით მდიდარ ქვეყნებთან. არსებობს ამ თეორიის სამი მიმართულება:

დამოკიდებულების ნეოკოლონიური მოდელი მარქსისტული აზროვნების არაპირდაპირი გაღრმავებაა. მოდელი გვიჩვენებს უთანასწორო საერთაშორისო კაპიტალისტური სისტემის ისტორიულ ევოლუციას მდიდარი და ღარიბი ქვეყნების ურთიერთობის კონტექსტში. ნეომარქსიზმის და ნეოკოლონური ხედვის მიხედვით ნაკლებად განვითარებადი სამყარო აყალიბებს განუვითარებელ ატრიბუტებს, ასევე ჩრდილოეთ ნახევარსფეროში არსებულ ინდუსტრიულ ქვეყნების პოლიტიკის გაფართოება წარმოქმნის განვითარებად ქვეყნებში მცირე, მაგრამ ძლიერ კომპრადორულ ჯგუფებს. განუვითარებლობა ეგზოგენურად არის გამოწვეული ამ მოდელში, წრფივი სტრუქტურული გარდაქმნების მოდელებისგან განსხვავებით, სადაც მას იწვევს შიდა შეზღუდვები, როგორიცაა არასაკმარისი დანაზოგი და ინვესტიციები. აქედან გამომდინარე, ამ მოდელის მიხედვით მდიდარი ქვეყნები აფერხებენ ღარიბი ქვეყნების განვითარებას.

საერთაშორისო დამოკიდებულების მოდელებიდან მეორე ნაკლებად რადიკალური მიმართულებაა **განვითარების ცრუ პარადიგმა.** ეს მიმართულება ასახავს განვითარებული ქვეყნების დახმარების სააგენტოებისა და მრავალეროვნული დონორი ორგანიზაციების მიერ წარდგენილი მიკერძოებული და არაფორმალური „ექსპერტ“ მრჩევლებისგან განვითარებადი ქვეყნებისთვის მიცემულ არაადეკვატურ და არასათანადო რჩევებს. ეს ექსპერტები აცხადებენ რომ კომპლექსური მოდელების განვითარებაა საჭირო, რაც ხშირად იწვევს არასწორ პოლიტიკას. გარდა ამისა, მაღალი დონის სახელმწიფო ეკონომისტები და სხვა საჯარო მოსამსახურეები სწავლობენ განვითარებული ქვეყნების უნივერსიტეტებში, სადაც უნებლიეთ ემსახურებიან

უცხოელების არაჯანსაღ მოსაზრებებს, სწავლობენ მიმზიდველ, მაგრამ არაპრაქტიკულ თეორიულ მოდელებს. აქედან გამომდინარე განვითარებადი ქვეყნების ჩამორჩენილობა გამოწვეული ამ ექსპერტების არასწორი რჩევებით, ისინი ძირითადად არ იცნობენ ასეთი ქვეყნის სპეციფიკას ან ემსახურებიან ელიტჯგუფების ინტერესებს.

საერთაშორისო დამოკიდებულების მოდელის ჩარჩოებში მკაფიოა ორმაგი საზოგადოებების არსებობა, რაც ნიშნავს მდიდარი ჯგუფების არსებობას განვითარებად ქვეყნებში მრავალრიცხოვან ღარიბ ჯგუფთან ერთად. ანუ ღარიბ რაიონში მდიდარი ჯიბეების არსებობა.[1] **დუალიზმი** არის კონცეფცია, რომელიც ფართოდ განიხილება ეკონომიკურ განვითარებაში და იგი გულისხმობს მდიდარი და ღარიბი ქვეყნების და ხალხის არსებობას. დუალიზმის ტრადიციული თეორია მოიცავს ოთხ საკვანძო არგუმენტს:

1. განსხვავებული პირობები სადაც ზოგიერთ „უფროსს“ და „უმცროსს“ შეუძლიათ თანაარსებობა;
2. ეს არსებობა ქრონიკულია და არ არის დროებითი ფენომენი, რომლის დროსაც შეიძლება აღმოიფხვრას მაღალი დონეების უპირატესობა ქვედასთან შედარებით;
3. ამ მოვლენას აქვს უთანაბრობის გაზრდის თანდაყოლილი ტენდენცია, მაგალითად პროდუქტიულობის გაპი სხვადასხვა განვითარებადი ქვეყნების მომუშავეებს შორის ყოველწლიურად უფრო ფართოვდება;
4. ისეთი ურთიერთდამოკიდებულებაა ზედა და ქვედა ელემენტებს შორის რომ უმაღლესი დონის წარმომადგენლები ნაკლებად ზრუნავენ ქვედა დონის განვითარებაზე.

[1] Todaro, M. P., & Smith, S. C. (2011). *Economic Development 11th ed.* Pearson Education and Addison-Wesley.

თავი 2. ეკონომიკური განვითარება - კეთილდღეობის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი

2.1 ეკონომიკური განვითარების მაკროეკონომიკური არსი

ეკონომიკური პროგრესი არის ერთ-ერთი კომპონენტი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მდგომარეობას, თუმცა განვითარება არ არის მხოლოდ კომპონენტი, ის ბევრად მეტია, ვიდრე სხვა რომელიმე ეკონომიკური მაჩვენებელი. ასევე ეკონომიკური განვითარება არ წარმოადგენს წმინდა ეკონომიკურ ფენომენს და ის არ ეხება მხოლოდ ადამიანის მატერიალურ და ფინანსურ მხარეს, არამედ სწორედ განვითარება განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების ხარისხს.

ეკონომიკური განვითარების გაგება იწყება მისი გამიჯვნით ეკონომიკური ზრდისგან. ეს ორი ტერმინი ახლოსაა ერთმანეთთან, თუმცა არაიდენტურია. ზრდა აუცილებელია განვითარებისთვის, მაგრამ არა საკმარისი. ეკონომიკური ზრდა გვიჩვენებს ქვეყნის წარმოების და შემოსავლის ზრდას ერთ სულ მოსახლეზე. წარმოება იზომება ისეთი მაჩვენებლით, როგორიცაა მთლიანი ეროვნული პროდუქტი, რომელიც გვიჩვენებს საქონლისა და მომსახურების მთლიან გამოშვებას. ეკონომიკური განვითარება გულისხმობს ეკონომიკურ ზრდას, რომელსაც თან ახლავს ცვლილებები გამოშვების განაწილებასა და ეკონომიკის სტრუქტურაში. ეს ცვლილებები კი აუმჯობესებს ღარიბი მოსახლების მატერიალურ კეთილდღეობას, ასევე ამცირებს სოფლის მეურნეობის წილს და ზრდის მომსახურებისა და მრეწველობის წილს მთლიან ეროვნულ პროდუქტში. ამ ცვლილებების შედეგად იზრდება განათლების წილი და ასევე სხვადასხვა ახალი შესაძლებლობები იჩენს თავს.

ნებისმიერ შემთხვევაში ტერმინი „ზრდა“ ნიშნავს რაიმე მაჩვენებლის რაოდენობრივ ცვლილებას, ხოლო „განვითარება“ კი ხარისხობრივი მაჩვენებელია და ახალ, უფრო სრულყოფილ თვისობრიობაში გადასვლას ნიშნავს.[1] გვისახავს ახალ

[1] აბესაძე, რ. (2014). *ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი.* თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.

შესაძლებლობებს (როგორიცაა მაგალითად ფიზიკური კოორდინაციის შესაძლებლობები, სხვადასხვა ეკონომიკური უნარ-ჩვევები, რომლებიც იძლევა საშუალებას მოხდეს ადაპტაცია ახალ ტექნოლოგიებთან და ახალ გემოვნებასთან). ეკონომიკური განვითარება - ეს არის ადამიანის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესების, მისი შესაძლებლობების ამაღლების პროცესი. განვითარება შეიძლება განვიხილოთ, როგორც მრავალგანზომილებიანი პროცესი, რომელიც ჩართულია ეკონომიკური და სოციალური სისტემების რეორგანიზაციაში. შემოსავლებსა და გამოშვებაში ცვლილებების გარდა, ასევე მოიცავს ცვლილებებს ინსტიტუციონალურ, ადმინისტრაციულ და სოციალურ სტრუქტურებში. თუმცა უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეკონომიკური განვითარება მხოლოდ განვითარებად ქვეყნებს არ ეხება და ეს საკითხი ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებშიც დგება. განსხვავება ისაა, რომ სხვადასხვაა ეკონომიკური განვითარების მიზნები და ამოცანები.

ქვეყნებმა წარმატებას მიაღწიეს განვითარებაში, იმ თვალსაზრისით, რომ მათ შექმნეს სრულყოფილი და მოწესრიგებული ეკონომიკური გარემო, აითვისეს ახალი ტექნოლოგიები, გააუმჯობესეს სახელმწიფო რეგულირების სფერო. ასეთმა ქვეყნებმა შეძლეს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის შექმნა, ხოლო იმ ქვეყნებს, რომლებმაც ვერ განახორციელეს მსგავსი ცვლილებები, ნაკლებად განვითარებული საბაზრო ეკონომიკა აქვთ.

ეკონომიკური განვითარების შესწავლა ერთ-ერთი უახლესი და საინტერესოა ეკონომიკისა და პოლიტიკის ფართო დისციპლინებში.უნდა აღინიშნოს რომ ჯერ კიდევ ადამ სმიტი იყო ერთ-ერთი პირველი „განვითარების ეკონომისტი“, მის ნაშრომში „ერის სიმდიდრე“, რომელიც გამოქვეყნდა 1776 წელს, იყო პირველი კვლევა ეკონომიკურ განვითარებაზე.[1] თუმცა ამ საკითხს პირველი დიდი გამოკვლევა იოზეფ შუმპეტერმა მიუძღვნა თავის ნაშრომში „ეკონომიკური განვითარების თეორია“(1912) ამ ნაშრომში მან გამიჯნა ერთმანეთისგან ეკონომიკური ზრდა და განვითარება და ასევე ის განვითარების მთავარ ფაქტორად მიიჩნევდა მეწარმეობასა და ინოვაციებს. შუმპეტერი

[1] Todaro, M. P., & Smith, S. C. (2011). *Economic Development 11th ed.* Pearson Education and Addison-Wesley.

იყო ასევე ევოლუციონისტური თეორიის ფუძემდებელი. ევოლუციონისტური თეორია ორთოდოქსიისგან განსხვავებით აქცენტს აკეთებს განვითარებაზე ნაცვლად „გაყინული მრავალფეროვნებისა“[1]ევოლუციონისტური თეორია არ ემიჯნება ორთოდოქსიას, პირიქით, ცდილობს მასთან სინთეზირებას, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ევოლუციონისტური თეორიისთვის ამოსავალი იდეაა განვითარება, ხოლო ორთოდოქსიისთვის წონასწორობა. ამ თეორიის მიხედვით გრძელვადიანი განვითარების მთავარ ფაქტორს ინოვაციები წარმოადგენს. შუმპეტერს მიაჩნდა, რომ განვითარების ბიძგის მიმცემია სიახლეები და მართლაც სიახლის, ინოვაციის გარეშე ვერ იარსებებს განვითარება. ტექნოლოგიური სიახლეები და ინოვაციები ამ სფეროში ხელს უწყობს შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ ზრდის გამოშვებას. გამოშვების ზრდა დადებითად მოქმედებს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, რომლებიც საბოლოო ჯამში ასევე დადებით ზეგავლენას მოახდენენ ეკონომიკური განვითარების პროცესზე, რადგან აღნიშნული მაჩვენებლების ზრდა ამაღლებს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს.

შუმპეტერის მიხედვით განვითარება არის მეწარმეების განკარგულებაში არსებული საწარმოო რესურსებიდან ახალი კომბინაციების აგება. აქედან გამომდინარე შუმპეტერი გამოყოფს ნოვაციების ორ ჯგუფს, ერთ ჯგუფში შემავალი ფაქტორები ზემოქმედებენ წარმოების პროცესზე, ხოლო მეორე ჯგუფში შემავალი ფაქტორები პროდუქციაზე. ნოვაციები შუმპეტერმა გააერთიანა შემდეგ ჯგუფებში:

1. ახალი პროდუქტის შექმნა;
2. წარმოებისა და ტრანსპორტირების ახალი მეთოდების დანერგვა;
3. რეალიზაციის ახალი ბაზრების ათვისება ანუ ახალი კომერციული შესაძლებლობები;
4. ნედლეული ახალი წყაროების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
5. ფირმის ორგანიზაციის ახალი ფორმების შექმნა.

[1] მექვაბიშვილი, ე. (2016). *თანამედროვე ეკონომიკური თეორიები.* თბილისი.

აქედან გამომდინარე შრომის მწარმოებლურობის გაუმჯობესება ქმნის ბაზას ეკონომიკური ზრდისთვის, თუმცა თავად შრომის მწარმოებლურობა უმჯობესდება ინოვაციების და სხვადასხვა ტექნოლოგიური ცოდნის სრულყოფის საფუძველზე. აღნიშნული პროცესი ზემოქმედებს ადამიანების კეთილდღეობაზე და სხვა ისეთ ფაქტორებზე, რომლებიც აუმჯობესებს მათი ცხოვრების დონეს.

რაც შეეხება ეკონომიკურ ზრდას, მოკლევადიან პერიოდში შეიძლება არსებობდეს ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება ერთმანეთის გარეშე, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში მათი კავშირი აშკარაა. ეკონომიკური ზრდა გულისხმობს ეკონომიკური დოვლათის წარმოების მოცულობის რაოდენობრივ ზრდას. თუმცა გრძელვადიან პერიოდში რაოდენობრივი ცვლილება აუცილებლად გადაიზრდება თვისობრივში.

საბაზრო ეკონომიკის გზაზე დამდგარი პოსტსოციალისტური ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ კაპიტალისტური სისტემისკენ მოძრაობა თეორიული ეკონომიკური საფუძვლების გაუთვალისწინებლად ძალიან რთული და ზოგჯერ უშედეგოც კი არის.

სტრუქტურული ტრანსფორმაცია არის სწორედ ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი განვითარებადი ქვეყნებისთვის. ერებმა, რომლებმაც დაძლიეს სიღარიბე, შეძლეს დაბალპროდუქტიული სექტორიდან გამოსვლა და ეკონომიკის გამრავალფეროვნება. განვითარებულ ქვეყნებში, როგორც წესი, ეს პრობლემა არ დგას, რადგან იქ სექტორების პროდუქტიულობებს შორის განსხვავება თითქმის არ არის და ეკონომიკური ზრდაც პროდუქტიულობის გაუმჯობესების ხარჯზე ხდება.

თანამედროვე პირობებში გლობალიზაციამ და საერთაშორისო ინტეგრაციამ თითქმის ყველა განვითარებად ქვეყანაზე იმოქმედა და მეტნაკლებად ჩართო მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებში. რამაც გარკვეულწილად გამოიწვია განვითარებადი ქვეყნების საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლა, რასაც მოჰყვა სერიოზული წინააღმდეგობები იმ მხრივ, რომ მათ არ აქვთ არანაირი გამოცდილება.

ეროვნული ეკონომიკა არის ის ფენომენი, რომელიც ყოველთვის აქტუალურია ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის ანუ გამოყენების სფეროში. ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირებაზე არის დამოკიდებული ბევრი სახელმწიფო ინსტიტუტის არსებობა. პოსტსაბჭოურ სივრცეში ეროვნული ეკონომიკა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, რადგან ტრანსფორმაციის შედეგად წარმოქმნილი ახალი სუვერენული სახელმწიფოებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირებას.

2.2 ეკონომიკური განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პრინციპები და კანონზომიერებები

ტრადიციული ეკონომიკა უპირველეს ყოვლისა ეფექტურია საწარმოო რესურსების განაწილების და დროთა განმავლობაში ამ რესურსების ოპტიმალური ზრდის კუთხით. ტრადიციული ნეოკლასიკური ეკონომიკა ეყრდნობა განვითარებულ კაპიტალისტურ სამყაროში სრულყოფილ ბაზრებს, სამომხმარებლო სუვერენიტეტს, ფასების ავტომატურ კორექტირებას, მარგინალური კერძო მოგებისა და კომუნალური გათვლების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს და ყველა პროდუქციისა და რესურსების ბაზარზე წონასწორობას.[1] ტრადიციული ეკონომიკა გვიჩვენებს რაციონალურ ინდივიდს, რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე. აქედან გამომდინარე ეს არის მიდგომა, რომელიც გვიჩვენებს მოგების მაქსიმიზაციას, ბაზრის ეფექტურობას და წონასწორობის განსაზღვრას.

პოლიტიკური ეკონომიკა სცდება ტრადიციულ ეკონომიკას და ის გვიჩვენებს გარკვეულ სოციალურ და ინსტიტუციურ პროცესებს, რომელთა მეშვეობითაც გარკვული ჯგუფები ეკონომიკურ და პოლიტიკურ ელიტებზე გავლენას ახდენენ

[1] Todaro, M. P., & Smith, S. C. (2011). *Economic Development 11th ed.* Pearson Education and Addison-Wesley.

შეზღუდული რესურსების განაწილების თვალსაზრისით. პოლიტიკური ეკონომიკა არის ეკონომიკური ანალიზის შერწყმის მცდელობა პრაქტიკულ პოლიტიკასთან ანუ ეკონომიკური თვალსაზრისით საქმიანობა მის პოლიტიკურ კონტექსტში. აქედან გამომდინარე პოლიტიკურ ეკონომიკაში მოხდა პოლიტიკისა და ეკონომიკის შერწყმა და განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს.

რაც შეეხება განვითარების ეკონომიკას, ეს სფერო კიდევ უფრო დიდია. გარდა იმისა, რომ დაინტერესებულია რესურსების ეფექტიანი განაწილებით და მდგრადი ზრდის უზრუნველყოფით, ასევე მისი ინტერესის საგანია სოციალური, ეკონომიკური, ინსტიტუციონალური და პოლიტიკური მექანიზმების ამოქმედება ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით.

უფრო განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში უმეტესად სასაქონლო და რესურსების ბაზრები ძალიან არასრულყოფილია და მომხმარებლებს და მიმწოდებლებს აქვთ შეზღუდული ინფორმაცია. ძირითადი სტრუქტურული ცვლილებები მიმდინარეობს ეკონომიკაში, უფრო ხშირია მრავალმხრივი წონასწორობა. ფასები კი არ ითვალისწინებს მოთხოვნასა და მიწოდებას. ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური გათვლები დომინირებს პოლიტიკურ და სოციალურ პრიორიტეტებზე, როგორიცაა მაგალითად ქვეყნის გაერთიანება.

ამდენად, განვითარების ეკონომიკა, ტრადიციულ ნეოკლასიკურ და პოლიტიკურ ეკონომიკასთან შედარებით უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ მოთხოვნებს მთლიანი საზოგადოების სწრაფი სტრუქტურული და ინსტიტუციონალური გარდაქმნების განხორციელების მიზნით, რასაც ყველაზე ეფექტურად მოაქვს ეკონომიკური პროგრესის შედეგი მათი მოსახლეობის ფართო სეგმენტებში. ყურადღება უნდა მიექცეს იმ მექანიზმებს, რომლებიც ოჯახებს და რეგიონებს სიღარიბის ხაფანგში აქცევს, შესაბამისად სიღარიბის დაძლევის ეფექტური სტრატეგიის მონახვა არის ძალიან მნიშვნელოვანი.[1] სახელმწიფოს როლი კოორდინირებული ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისთვის, რომელიც

[1] Todaro, M. P., & Smith, S. C. (2011). *Economic Development 11th ed.* Pearson Education and Addison-Wesley.

მიმართულია ეკონომიკის გარდაქმნისკენ განიხილება განვითარების ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს კომპონენტად.

ეკონომიკური განვითარების ზოგადად აღიარებული მიზანი ჯანსაღი ეკონომიკის შექმნაა. ტრადიციულად, ეს იმას ნიშნავს რომ სახელმწიფოს სტრატეგია უნდა იყოს გამიზნული იმ პირობების შექმნისთვის, რომელიც აუცილებელია ჯანსაღი ეკონომიკის ჩამოსაყალიბებლად. ასეთი სახელმწიფო პოლიტიკა ორიენტირებულია რეალური სექტორის განვითარებაზე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე და შესაბამისად შრომის მწარმოებლურობის ამაღლებაზე. ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტებს შორის არის ზოგადი ცხოვრების ხარისხის პირობები, როგორიცაა კლიმატი, გარემოს დაცვა, განათლების ხარისხი, რეკრეაციული შესაძლებლობები, ინფრასტრუქტურა, საბინაო ხელმისაწვდომობა.[1] ეკონომიკური განვითარების ბუნებაა ასეთი, რომ ის გამოიხატება ადამიანთა კომფორტის ზრდაში, მათი განათლების, კულტური დონის ამაღლებაში და ზოგადად ცხოვრების ახალ, სრულყოფილ დონეზე გადასვლაში.

მნიშვნელოვანი ელემენტების კიდევ ერთი კომპლექსი მოიცავს ქვეყნის პოტენციურ და ფაქტიურ მუშაკებს. ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული ქვეყნები აქტიურად მუშაობენ დემოგრაფიაზე და მუშათა უნარ-ჩვევებზე, ზოგადად ადამიანების და სამუშაო ადგილების ზრდა წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების დადებით მაჩვენებელს. ხშირად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ერთი სექტორის ან კონკრეტული დემოგრაფიული ჯგუფების საჭიროებებს.

ჯანსაღი ეკონომიკის მესამე საკვანძო ასპექტია არსებული ბიზნესების სპექტრი და ვაჭრობის ხასიათი და ასევე ინსტიტუტების ტიპი. ეკონომიკური განვითარების მიზნებიდან გამომდინარე ჯანსაღი ეკონომიკის ჩამოსაყალიბებლად ფირმებს ეხმარებიან ინოვაციების დანერგვაში, რადგან ტექნოლოგიური ინოვაციები უპირობოდ ქმნის ნიადაგს ეკონომიკური განვითარებისთვის.

[1] Archibald, R. W., & Sleeper, S. (2008). *Government Consolidation and Economic Development in Allegheny County.* RAND Corporation.

აქედან გამომდინარე ეკონომიკური განვითარება - ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი კეთილდღეობის და ცხოვრების დონის ზრდისთვის, რომელიც გამოხატულია ხარისხის სრულყოფაში და არა რიცხვებში.

მეოცე საუკუნის დასასრული და 21-ე საუკუნის დასაწყისი არის გლობალური საინფორმაციო გარემოს შექმნის პერიოდი, სადაც იქმნება ინოვაციური საზოგადოება, რომლის ძირითადი მამოძრავებელია სიახლეები, რაც აწარმოებს სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებს.სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მართვაში ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ინოვაციური ტექნოლოგიები ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებას, შესაბამისად, ეკონომიკის მაღალკვალიფიციური და გამოცდილი პერსონალით უზრუნველყოფას, ქვეყნის შიგნით სამუშაო ადგილების შექმნას და შიდა მოთხოვნის ზრდას, ეროვნული ვალუტის სტაბილურ დონეზე შენარჩუნებას და მოსახლეობის კეთილდღეობას.

ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე ტრანსფორმაციები მკვეთრად ზემოქმედებს საზოგადოების ცხოვრების ხარისხზე, რაც შემდგომ აყალიბებს ეკონომიკური განვითარების ახალ სოციალურ კანონზომიერებებს. მაგალითად, თუკი წარსულში სულ სხვა პრიორიტეტები განაპირობებდა ეკონომიკურ განვითარებას, თანამედროვე, გლობალიზებულ მსოფლიოში სხვა კანონზომიერება შეინიშნება. იზრდება ინოვაციების და ტექნოლოგიური პროგრესის როლი, რაც უზრუნველყოფს შეუქცევად ეკონომიკურ ზრდას და, შესაბამისად, საზოგადოების კეთილდღეობის დონის ამაღლებას.

ეკონომიკური განვითარება თვისებრივი მაჩვენებელია და მისი რაოდენობრივად გაზომვა უმეტეს შემთხვევაში რთულია, მაგრამ არსებობს მაჩვენებლები, რომლებიც გვიხასიათებენ ეკონომიკურ განვითარებას. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის, რომ ეკონომიკურ განვითარებას ორი სახის, ეკონომიკური და სოციალური მაჩვენებლები გვიხასიათებენ, თუმცა რთულია იმის განსაზღვრა რომელი უფრო მეტად ზემოქმედებს მასზე. ეკონომიკური მაჩვენებლებიდან მნიშვნელოვანია მთლიანი შიდა პროდუქტი გაანგარიშებული ერთ სულ მოსახლეზე. თუმცა ამ შემთხვევაში, თუკი მშპ-ს ზრდას

ადგილი არ აქვს სულაც არ იშნავს იმას, რომ ეკონომიკური განვითარება არ ხდება. ეს ფენომენი აიხსნება იმით, რომ როდესაც ხდება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, შეიძლება ადგილი არ ჰქონდეს რაოდენობრივ ზრდას, მაგრამ იზრდებოდეს თვისებრივად. მნიშვნელოვანია ნომინალური და რეალური მშპ-ს განხილვა

გრაფიკი 1 მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (პროცენტებში)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილება ახასიათებს რეალურ სექტორს, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვის. განსაკუთრებით კრიზისის დროს ფიქრობენ რეალური სექტორის გადარჩენაზე, რაც ნიშნავს სავაჭრო ბალანსის შენარჩუნებას და მის გაუმჯობესებას, სამუშაო ადგილების დაცვას, ეკონომიკის რყევების თავიდან აცილებას და ასე შემდეგ.

როგორც გრაფიკიდან ჩანს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის მაჩვენებელი 2010-2018 წლებში კლების ტენდენციით ხასიათდება, რაც მნიშვნელოვნად უშლის ხელს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

რაც შეეხება მთლიან შიდა პროდუქტს ერთ სულ მოსახლეზე, აქ უკვე მზარდი ტენდენცია ვითარდება

გრაფიკი 2 მშპ ერთ სულზე



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მშპ 1996 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში ძირითად იზრდება, მხოლოდ მკვეთრი ჩავარდნა შეინიშნება 2009 წელს, რაც უკავშირდება მსოფლიო კრიზისის და რუსეთ-საქართველოს ომის დროს განხორციელებულ პროცესებს.

ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ასევე მნიშვნელოვანია ექსპორტი, ინვესტიციების მოცულობა ინოვაციებზე, მეცნიერულ კვლევებსა და საცდელ-საკუნსტრუქტორო დამუშავებებზე. ასევე უნდა გამოიყოს ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელი, რომელიც დამოკიდებულია შრომის მწარმოებლურობაზე, წარმოების რენტაბელობასა და კაპიტალის უკუგებაზე.[1]

ასევე უნდა აღინიშნოს სოციალური მაჩვენებლები, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისთვის. ეს მაჩვენებლებია ადამიანური განვითარების ინდექსი, სიღარიბის დონის მაჩვენებელი, სამედიცინო მომსახურების

[1] აბესაძე, რ. (2014). *ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი.* თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.

დონე, სიცოცხლის ხანგრძლივობა, უმუშევრობის დონე და სხვა. ცხადია, რაც უფრო დაბალია უმუშევრობის დონე, მით მეტად განვითარებულია ქვეყანა.

დიაგრამა 1 უმუშევრობის დონე პროცენტებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უმუშევრობა ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება და მოქმედებს, როგორც სოციალურ მდგომარეობაზე, ასევე იწვევს ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ დანაკარგს. საქართველოში ბოლო წლებში, ამ მხრივ კლებადი ტენდენცია შეინიშნება. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ფაქტორების გარდა უმუშევრობას იწვევს ასევე სხვა ფაქტორებიც და მათ შორისაა განათლების დონე. ანუ შრომის ბაზარზე ნაკლებადაა შესაბამისი მომზადების მუშახელი

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმეტესობაში შეინიშნება უმუშევრობის მაღალი დონე, რადგან ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილება იწვევს სტრუქტურულ უმუშევრობას, რაც საკმაოდ გრძელვადიანია. ეს ეხება უმეტესად ყოფილ საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებს, სადაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მოხდა ფასეულობების გადახედვა, და საბჭოთა განათლების მქონე სამუშაო ძალამ ვერ დააკმაყოფილა თანამედროვე საბაზრო მოთხოვნები. მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით ხორციელდება რეფორმები, რათა სამუშაო ძალამ განავითაროს საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი უნარ-ჩვევები.

რაც შეეხება საგარეო სექტორს, აქ ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც გვიხასიათებს ეკონომიკურ განვითარებას არის სავაჭრო ბალანსი და იმპორტისა და ექსპორტის მოცულობა.

დიაგრამა 2 საქართველოს ექსპორტის და იმპორტის რაოდენობა და სავაჭრო სალდო



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია ექსპორტის რაოდენობის ზრდა, რაც შესაძლებელია რეალური, მწარმოებლური სექტორის განვითარებით. ასევე სოფლის მეურნეობის განვითარებით და ამ სფეროში დასაქმებული საზოგადოების წახალისებით, რათა აწარმოონ პროდუქცია. ამ შემთხვევაში ურბანიზაციასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ხშირია სოფლის მოსახლეობის ქალაქად გადასახლების შემთხვევებში, რაც უარყოფითად აისახება მწარმოებლური სექტორის განვითარებაზე.

2.3 ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების კონცეპტუალური საფუძვლები

ეკონომიკური განვითარების კონცეფციების ჩამოყალიბებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია მისი პროგნოზირება. ეკონომიკური პროგნოზი, რომლის

საშუალებითაც უნდა განისაზღვროს ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები, ასახავს შიდა ურთიერთობების კომპლექსურ დამოკიდებულებას. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური განვითარების პროგნოზი უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს: ეკონომიკისა და პოლიტიკის ერთიანობა, სისტემატურობა, მეცნიერული მიდგომა, ობიექტური განვითარების კანონების პროგნოზების ადეკვატურობა, ალტერნატიულობა.

ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკის ერთიანობის პრინციპი ეკონომიკურ პროგნოზთან მიმართებაში ნიშნავს პროგნოზებისა და გეგმების შემუშავებისას ეროვნული ინტერესების გათვალისწინებას. მიუხედავად იმისა, რომ პროგნოზი ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების შესწავლას გულისხმობს, იგი არ შემოიფარგლება მხოლოს კონკრეტული პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებებით და აქვს ვარიანტული ხასიათი, ამიტომ შეიძლება მისი შესრულების პერიოდი არ ემთხვეოდეს დაგეგმილს.

პროგნოზის შეფასებები ემსახურება, როგორც დაგეგმვის ეტაპების განხორციელებას, ისე დაგეგმვის პერიოდში ეროვნული ეკონომიკური განვითარების მიზნების შერჩევას, პერსპექტიული გეგმის ეკონომიკური და პოლიტიკური კონცეფციის განვითარებას.

მნიშვნელოვანია განვასხვავოთ ერთმანეთისგან ეკონომიკური განვითარების გეგმა და პროგნოზი. გეგმა ასახავს უკვე მიღებულ, განსახორციელებელ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს, ხოლო ეკონომიკური განვითარების პროგნოზი ეძებს შესაძლო რეალისტურ, ეკონომიკურად სწორ გადაწყვეტილებებს. ეკონომიკური განვითარების პროგნოზი განიხილავს ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა ობიექტურ თუ სუბიექტურ პრინციპებს.

ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების სისტემატურობის პრინციპი ნიშნავს ერთი მხრივ იმას, რომ ეკონომიკა ერთ ობიექტად ითვლება, ხოლო მეორე მხრივ განიხილება, როგორც პროგნოზირების შედარებით დამოუკიდებელი მიმართულებების კომპლექსი.

სისტემური მიდგომა მოიცავს სხვადასხვა განვითარების გეგმების შედგენას მეთოდებსა და მოდელებზე დაყრდნობით, რომელიც ხასიათდება გარკვეული თანმიმდევრობით. ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების სიტემური მეთოდები განისაზღვრება, როგორც მოდელების კომბინაცია, რაც შესაძლებელს გახდის განავითაროს ეკონომიკური ზრდის თანმიმდევრული პროგნოზირება თითოეულ სფეროში ხალმისაწვდომი რესურსებით და უკვე არსებული თუ მიმდინარე პერიოდის ეკონომიკურ ტენდენციებზე დაყრდნობით.

რაც შეეხება მეცნიერულ მიდგომას, ეს პრინციპი ნიშნავს, რომ ყველა დონეზე ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების ობიექტური კანონების განხილვა უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიკური განვითარების შიდა და უცხოური გამოცდილების მიღწევების საფუძვლიან შესწავლას. ეროვნული ეკონომიკის განვითარების პროგნოზირება უნდა ეფუძნებოდეს სხვადასხვა მრავალფეროვანი მოდელებისა და მეთოდების ფართო გამოყენებას და მათი მოქმედების ეფექტურობისა შესწავლას.

ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების ადეკვატურობის პრინციპი ახასიათებს არა მხოლოდ იდენტიფიცირების პროცესს, არამედ ასევე, სტაბილურ ტენდენციებსა და ურთიერთკავშირს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში და რეალური ეკონომიკური პროცესების თეორიული ანალოგის შექმნის სრული და ზუსტი იმიტაციის პროცესს. ეროვნული ეკონომიკის განვითარების ანალიზისა და პროგნოზის თეორიული მოდელი შეიძლება განვიხილოთ, როგორც პრაქტიკული მოდელი, რომელიც რეალობის სამეცნიერო ასახვის ფორმაა. ადეკვატურობის პრინციპი გულისხმობს თანამედროვე, გაბატონებული ტენდენციების შეფასების საჭიროებას და გამოვლენილი პროგნოზების შესრულების ალბათობის შეფასებას.

ამ შემთხვევაში ეკონომიკური განვითარების პროგნოზების ჩამოყალიბება გულისხმობს პროგნოზირების მეთოდებისა და მოდელების აპრობირებას, იმ თვალსაზრისით, რომ შეძლებენ ისეთი ტენდენციების შექმნას, რაც მაქსიმალურად ახლოსაა რეალობასთან. ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების ინსტრუმენტი შეიძლება იყოს მანამდე არსებული მოდელები და განვითარების კონცეფციები. თუმცა

აუცილებელია უამრავი ექსპერიმენტული გათვლები, რომელთა განხორციელებაც ისევ თეორიული კონცეფციების ანალიზის პროცესშია შესაძლებელი.

პროგნოზირების ალტერნატიულობის პრინციპი უკავშირდება ეროვნული ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა ტრაექტორიას. არსებული პროცესებისა და ტენდენციების იმიტაცია, მომავალი განვითარების პროგნოზირებისას აუცილებელია სხვადასხვა ალტერნატივების შესაქმნელად. ეროვნული ეკონომიკის განვითარების შესაძლო გზების განსაზღვრა გულისხმობს, პროგნოზირების ალბათობაში შემთხვევითი პროცესებისა და გადახვევების არსებობას, ხოლო თვისობრივი ჰომოგენურობის შენარჩუნებით, პროგნოზირებული ტენდენციების სტაბილურობას. ალტერნატივა ეფუძნება ეკონომიკური განვითარების ხარისხობრივად განსხვავებული ვარიანტების შესაძლებლობას.

ეროვნული ეკონომიკის განვითარების ინდივიდუალური ალტერნატივების რეალიზაციის შეფასება განისაზღვრება ყველა ძირითად სფეროში ბალანსით, რესურსების, სტრუქტურის, შესრულების ინდიკატორების რეალური შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლის ფარგლებშიც უნდა აღმოცენდეს ეკონომიკური განვითარების დაბალანსებული ალტერნატივა. ალტერნატივების წარმოშობის წყაროები ეროვნული ეკონომიკის განვითარებისთვის, უპირველეს ყოვლისა, შესაძლო ხარისხობრივ ცვლილებებს წარმოადგენს. ალტერნატივების ფორმირება გავლენას ახდენს კონკრეტული წარმოების განვითარების მიზნებზე. ეს მიზნები განისაზღვრება სოციალური საჭიროებების განვითარების ნიმუშებით, კონკრეტული ეროვნული ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად. ამგვარად, ალტერნატიულობის პრინციპი ურთიერთქმედებს პროგნოზირების აქცენტით.

აქედან გამომდინარე, მიმდინარე ტენდენციები და გრძელვადიანი განვითარების მიზნები განსაზღვრავს ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების აქტიურ ხასიათს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ეკონომიკის მართვის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებისთვის. ამასთან დაკავშირებით კი, აუცილებელია განვითარების პროგნოზში ეკონომიკური თეორიისა და მეთოდის შემუშავება და პროგნოზირების

კონკრეტული ობიექტების სპეციფიკის გათვალისწინება. ეკონომიკური პროგნოზირება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ხასიათის სამეცნიერო კვლევის სისტემაა, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული ეკონომიკის, მრეწველობის, საწარმოთა განვითარების და ამ განვითარების მიზნების მისაღწევად საუკეთესო გზების განვითარების ტენდენციებსა და ნიმუშებს.

ეკონომიკური პროგნოზები ხელს უწყობს ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიული კონცეფციების განვითარებას, წყვეტს ეკონომიკური ზრდის პრობლემებს შეზღუდული რესურსების პირობებში. ასევე პროდუქციის ეფექტურობის პრინციპის შესაბამისად, სასურველია ეს რესურსები გამოიყენებოდეს ისე, რომ მიღწეული იქნას საბოლოოდ, ნაკლებად პროდუქტიული სექტორის ზრდა შემოსავლის სამართლიანი განაწილებით.

ეკონომიკური პროგნოზის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა განვითარების პროცესების ღირებულებების პროგნოზირება, რაც წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების თეორიულ საფუძველს.

რაც შეეხება ეკონომიკური განვითარების პროგნოზირებას საქართველოში, ეს მეტად რთული საკითხია, რადგან გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მაკროეკონომიკური განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზირება საკმაოდ პრობლემურია, რაც განპირობებული უამრავი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით. უპირველეს ყოვლისა, გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესშია და არ არსებობს ჩამოყალიბებული ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც შემდეგ მოხდება პროგნოზირებაც.

ეკონომიკური განვითარების პროგნოზებმა მიახლოებით მაინც უნდა ასახოს მომავალი ტენდენციები, რასაც წინ უძღვის ეგზოგენური ფაქტორები და სხვადასხვა ჰიპოთეზებისა და კონცეფციების გათვალისწინება. არსებობს ორი სახის, აქტიური და პასიური პროგნოზები. პასიური პროგნოზები ახასიათებენ მაკროეკონომიკური განვითარების ევოლუციურ ტრაექტორიას და ზოგად კანონზომიერებებს, ხოლო აქტიური პროგნოზები არის სასურველი, მიზნობრივი პროგნოზები, რომლებიც

გვიხასიათებენ მომავალში ისეთ ტენდენციებს, რომელიც დააჩქარებს ქვეყანაში კრიზისული სიტაუციების დაძლევას და ახალ თვისებრივ დონეზე აყვანას.[1]

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს წარსულის გამოცდილება ძირითადად კრიზისული პერიოდებით ხასიათდება, ეკონომიკური განვითარების პროგნოზები უნდა იყოს ორი სახის. ერთი შედგება რეტროსპექტივაში, ანუ წარსულის გათვალისწინებით და ცხადია, პასიური პროგნოზი პესიმისტური იქნება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ზუსტად იგივე უნდა გამეორდეს, თუმცა გარკვეულწილად პასიური პროგნოზები ითვალისწინებს წარსულის გამოცდილებას იმ კუთხით, რომ შენარჩუნდება წარსულში არსებული ტენდენციები და კანონზომიერებები. ასევე მეორე სახის პროგნოზების შემუშავებაც შეიძლება, რასაც საფუძვლად უნდა ედოს ეკონომიკური და ასევე არაეკონომიკური ფაქტორები. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებოთ შემუშავდება გრძელვადიანი განვითარების ჰიპოთეზები.

[1] ანანიაშვილი, ი., აჩელაშვილი, კ., მესხია, ი., პაპავა, ვ., სილაგაძე, ა., & წერეთელი, გ. (2003). *მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები.* თბილისი: "მეცნიერება".

თავი 3 განვითარების კონცეფციების გამოყენების შესაძლებლობები

3.1 მსოფლიო ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციები

მსოფლიოს თანამედროვე ეკონომიკური განვითარების პროცესის მრავალფეროვნება მოითხოვს პოსტსოციალისტური ქვეყნების ტრანსფორმაციის სისტემური პროგრამების თეორიულ და მეთოდოლოგიურად ჩამოყალიბებულ მიდგომას. მოვლენების ანალიზში გამოყენებული ასეთი მიდგომა განვლენას ახდენს მათი არსის, სიღრმისეული მიმართულებების დინამიკისა და შედეგების შეფასების ბუნებაზე.

თანამედროვე ეკონომიკაში, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და ხარისხობრივი ცვლილებების პრობლემების ანალიზისა და ინტერპრეტაციისთვის ხუთი ძირითადი მიდგომა არსებობს:

- პირველი არის ნეოკლასიკური ზრდის თეორია და ეკონომიკური განვითარების და სისტემური ტრანსფორმაციის შესაბამისი ლიბერალური კონცეფცია და პოლიტიკა;
- მეორე არის ახალი ზრდის და ეგზოგენური ზრდის თეორია;
- მესამე - რეალური კონიუნქტურული ციკლის თეორია ახალი პოლიტიკური ეკონომიკის მიმდინარეობის გათვალისწინებით;
- მეოთხე - მდგრადი განვითარების კონცეფცია
- და ბოლოს, მეხუთე ნეო-ინსტიტუციური ეკონომიკა.

აქვე უნდა აღინიშნოს გრძელვადიანი ზრდის ორი სხვადასხვა მეთოდი. კონცეფცია, რომელიც ცნობილია როგორც ეგალიტარული განვითარება, ყურადღებას ამახვილებს განვითარებაზე ორიენტირებულ სოციალური დიფერენცირების და შემოსავლების გაზიარების საკითხზე, და მეორე დემოკრატიული განვითარების კონცეფცია, რომელიც განიხილავს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა განვითარების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ასპექტები.

ნეოკლასიკური ზრდის თეორიაში ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს საბაზრო ეკონომიკის დინამიკას, რომლის ძირითადი პირობა არის სახელმწიფოს განვითარების პროცესის სტაბილურობა. გრძელვადიანი დაბალანსებული ზრდის მაჩვენებელი განსაზღვრავს მოსახლეობის ზრდის ეგზოგენურად გამოხატულ მაჩვენებელს, რაც ასევე გაიზარდა ტექნიკური პროგრესის შედეგად. ეკონომიკური ზრდის სტაბილურობას და ეკონომიკური სისტემის უნარს, დროებითი გარდამავალი დესტაბილიზაციის შემთხვევაში დაბრუნდეს დაბალანსებული ზრდის გზაზე, უზრუნველყოფს ოპტიმალური ბაზრის მექანიზმი, რომელიც გამოიხატება პროდუქციის საწარმოებელი ფაქტორების განაწილებაში. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საპროცენტო განაკვეთის ფორმირება, რაც განსაზღვრავს დანაზოგებს და ინვესტიციებს.

პოსტსოციალისტური ქვეყნების სისტემური ტრანსფორმაცია განისაზღვრება, როგორც ისტორიული შეფერხება მათ განვითარებაში. აქედან გამომდინარე, მათი ეკონომიკური ზრდის დინამიკა წარმოადგენს ძალებისა და მექანიზმების ქმედებას, რომლებიც დამახასიათებელია ორი ფუნდამენტურად განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემით. ეს ართულებს იმის შესაძლებლობას, რომ განისაზღვროს ეკონომიკის განვითარება მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში და შეფასდეს ეკონომიკური ზრდა ტრანსფორმაციული რეცესიის შედეგია თუ ეკონომიკამ მიაღწია ტრადიციულად მდგრადი ეკონომიკური ზრდის გზას.

საწარმოო ფაქტორების განაწილების ბაზრის წესებისა და პრინციპების გავრცელება, აგრეთვე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების პრივატიზაცია, ამცირებს გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკასა და წონასწორობისა და ზრდის სტაბილურობის ნეოკლასიკურ მექანიზმს შორის მანძილს. მისი მთავარი ფაქტორია კაპიტალის შენახვა და დაგროვება. უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის და მთლიანი დანაზოგების დონე, ისევე, როგორც საინვესტიციო მაჩვენებელი, ტრანსფორმაციულ ქვეყნებში დაბალია. ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ მათი ეკონომიკური განვითარება კაპიტალისა და შრომის რეზერვების ეფექტიანობის

შედეგია, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალის იმპორტის (უცხოური ინვესტიციები) შედეგად ხდება ეკონომიკური განვითარება.

ზრდის ახალი თეორიის თანახმად, ენდოგენური გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ძირითადი ფაქტორები კაპიტალში ინვესტიციებია: გამოგონებები, ინოვაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც დაკავშირებულია ცოდნის, ტექნოლოგიების და კაპიტალის გადაცემასთან.

ახალი ზრდის თეორიაში, ტექნიკური პროგრესისა და კაპიტალის გამოყენების ურთიერთქმედების შედეგად წარმოიქმნება დადებითი გარე ეფექტები, რის შედეგადაც იზრდება პროდუქტიულობა, რომელიც აჭარბებს კერძო სარგებელს. მდგრადი ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები შესაძლებელი გახდება თუ შეზღუდვები საკმარისად დაბალი იქნება იმისათვის, რომ გაიზარდოს ადამიანური კაპიტალის რესურსები.

ეს თეორია ცდილობს ახსნას რატომ ხდება კონვერგენციის ჰიპოთეზა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა სტანდარტული ზრდის თეორიიდან და არ არის დადასტურებული მთელს მსოფლიო ეკონომიკაში.

აღნიშნული დადებითი შედეგები ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების კუმულაციური ეფექტის მქონე ეკონომიკურ საქმიანობებში შეიძლება იყოს ძლიერი სტიმული შემუშავდეს ეფექტური სტრატეგია, ძირითადად განვითარებული ქვეყნებისთვის.

ემპირიული კვლევის მიხედვით კონვერგენციის თეზისი მხოლოდ განვითარებული ქვეყნების მიმართ არის დადასტურებული. ამიტომ ამ კოტექსტში ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ახალი ზრდის თეორიის თანახმად, პოსტსოციალისტური ქვეყნების ტრანსფორმაცია საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანად არ შეიძლება მოხდეს კონვერგენციის გზით.

ზრდის თეორიის დებულებებიდან გამომდინარე, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში არ არსებობს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის საფუძველი, პირველ რიგში, იმიტომ, რომ სახელმწიფო და კერძო ხარჯების დაბალი დონეა კვლევასა და

განვითარების სექტორში, ისევე როგორც განათლებისა და სამეცნიერო სფეროში უახლესი ტექნოლოგიების განვითარების საკმაოდ დაბალი დონეა. მეორე იმიტომ, რომ პროდუქციის ხარისხისა და ტექნიკური დონის ამაღლების წახალისების ნაკლებობაა, მესამე, სამეცნიერო-კვლევითი და განვითარებაზე ორიენტირებული სამუშაოების და პროექტების ეფექტიანი სისტემის არარსებობა, მეოთხე თანამედროვე სამეცნიერო და ტექნიკური სტრატეგიის ნაკლებობა და სამრეწველო პოლიტიკა.

ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში არ ხდება ადამიანური კაპიტალის და ინვესტიციების როლის განხილვა, როგორც გრძელვადიანი მდგრადი ეკონომიკური ზრდის ფაქტორების.

ნეოკლასიკური თეორიისგან განსხვავებით, **რეალური კონიუნქტურული ციკლის თეორია,** ციკლური ცვლილებების გათვალისწინებით, არ განიცდის მთლიანი შიდა პროდუქტის გადახრას გრძელვადიანი დაბალანსებული ეკონომიკური ზრდის ტემპებიდან, მაგრამ განიცდის ტექნოლოგიური შოკების გავლენას.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის მდგრადობის პრობლემა ახალი პოლიტიკური ეკონომიკის კვლევის საგანია (პოლიტიკური არჩევანის თეორია). მათი შედეგია ის, რომ დემოკრატიულ სისტემაში გადასვლა შეუქცევადი და დაბალანსებული განვითარებისთვის საკმარისი არ არის. საჭიროა სტაბილური სოციალურ-პოლიტიკური კლიმატი, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკური საქმიანობის ისეთ ელემენტებს, როგორიცაა დაგროვება და ინვესტიციები.

დაბალი ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნებისთვის კეთილდღეობა ხასიათდება პოლიტიკური არასტაბილურობით, რაც ხელს უშლის დანაზოგების დაგროვებისა და ინვესტიციების მოზიდვის პროცესებს. ეს ყველაფერი კი შესაძლებელს ხდის გააძლიეროს ეკონომიკური და პოლიტიკური ძალების არსებული სტრუქტურის დესტაბილიზაციისთვის.

რაც შეეხება **მდგრადი განვითარების კონცეფციას,** ჩამოყალიბდა XX საუკუნის 80-იან წლებში, ტრადიციული ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკის ალტერნატიული მიდგომების შესახებ დებატების შედეგად. ალტერნატიულ მიდგომად კი დასახელდა

ეკონომიკური განვითარების მდგრადი გრძელვადიანი თეორია. ამ კონცეფციის ძირითადი იდეა ჩამოყალიბდა მსოფლიო კონფერენციის ეკონომიკური განვითარების (WCED) ანგარიშში 1987 წელს. დოკუმენტის თანახმად, მდგრადობა და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები ნიშნავს სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებას და ეს ყველაფერი არ ხდება მომავალი თაობების სარგებლიანობის შემცირების ხარჯზე.

მდგრადი განვითარების კონცეფცია ხაზს უსვამს მდგრადი და დაბალანსებული ეკონომიკური განვითარების სამ სოციალურ მიზანს: კეთილდღეობა, ახლანდელ და მომავალ თაობებს შორის, სამართლიანი განაწილება და უსაფრთხოება. მათი განხორციელების საშუალება შეიძლება იყოს ე.წ ბუნებრივი კაპიტალის უძრავობა, რომელიც არ მოიცავს ბუნებრივი რესურსების ხარისხის გაუარესებას.

მდგრადი განვითარების კონცეფცია შეიძლება უფრო პოზიტიურად შეფასდეს ტრანსფორმაციულ ქვეყნებში, რადგან აქ განვითარების ტენდენციები უფრო მეტია, გამომდინარე იქიდან, რომ მათ სასტარტო პოზიცია უფრო დაბალი დონის იყო ვიდრე განვითარებული ქვეყნების.

ამ შემთხვევაში განსაკუთრებული როლი ითამაშა, პირველ რიგში, ეკონომიკური მართვის სისტემის რესტრუქტურიზაციამ მიკრო დონეზე, კერძოდ, სახელმწიფო საწარმოების კომერციალიზაციამ და პრივატიზაციამ, რაც ხელს უწყობს პროდუქტულობის ზრდას. მეორე, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პოლიტიკის ეფექტურობის ზრდა, მათ შორის გარემოს დაცვის სხვადასხვა ახალი მექანიზმების შექმნა. მესამე, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ საწარმოთა სექტორის მიმართ საკუთრების ფუნქციების გამოყოფა მარეგულირებელი ფუნქციებისგან, გარემოს დაცვის სფეროში. და მეოთხე, გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა - მთლიანი შიდა პროდუქტის ინდუსტრიის პროპორციის შემცირება მომსახურების სექტორის სასარგებლოდ.

ზოგიერთ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში ეს კონცეფცია ვითარდება როგორც ეკოგანვითარების კონცეფცია. უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკის მიხედვით, კერძო საკუთრების დომინირება, ბაზრის ინსტიტუციონალურ ბაზაში

აბსოლუტურად სრულყოფილი არ არის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება გარემოს დაცვას და რესურსების რაციონალურ გამოყენებას. საბაზრო მექანიზმი ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ტრანსფორმაციულ ქვეყნებში გამოვლენილი ეკონომიკური ზრდის უარყოფითი ზემოქმედების შესუსტება არის არა მხოლოდ სისტემური ცვლილებების შედეგი (კერძოდ, ბაზრის გაძლიერება და სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია). არამედ მდგრადი განვითარების იდეების საფუძველზე მიმდინარე ეროვნული გარემოსდაცვითი პოლიტიკა.

ეკონომიკური ზრდისა და სისტემური ცვლილებების ნეოინსტიტუციური კონცეფცია თანდათან უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტრანსფორმაციული ეკონომიკის ქვეყნებში. ეს კონცეფცია ამტკიცებს, რომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია ანუ „ჯანსაღი მაკროეკონომიკური რეჟიმები“ აუცილებელი და საკმარისი პირობაა მდგრადი, მაღალი, შეუქცევადი და უსაფრთხო ეკონომიკური ზრდისთვის.

ნეოინსტიტუციური თეორიის დებულებების მიხედვით, ბაზრის ხარისხი დამოკიდებულია ინსტიტუციონალურ წესრიგზე, როგორც იმ წესებსა და ნორმებზე რაც დადგენილია წესით, ასევე ქცევის არაფორმალურ წესებზე, რომელიც პრაქტიკაშია ჩამოყალიბებული (პროფესიული განსაზღვრული გარემო და სხვა), ასევე მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ეთიკა და მორალი. დუგლას ნორტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოება, კერძოდ კონტრაქტების დაცვა, მათი ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, წარმოადგენს ბაზრის ეფექტურობის ძირითად მდგომარეობას.[1]

გარდამავალი ქვეყნების ინსტიტუციური წესრიგის სისუსტე და პათოლოგიები წარმოშობს ორი სახის კონფლიქტსა და დაბრკოლებას ეკონომიკურ განვითარებაში. პირველ რიგში, ეს არის ბაზრების ეფექტურობის შემცირება, განაწილებასა და საბაზრო ურთიერთობებში დისკრიმინაციის გააქტიურება, (ეკონომიკური სუბიექტების

[1] полиньски, р. (2006). главные теоретические концепции. *НАУКА И ИННОВАЦИИ*, 31.

შემოსავლებში, საჯარო სექტორის სახსრებში) და, შესაბამისად, საბაზრო რეგულირების ხარისხიც მცირდება რაც იწვევს უკუკავშირს სამართლიან კონკურენციასა და პროდუქტიულობას შორის. ეს ყველაფერი ასუსტებს და აფერხებს პროგრესული ინოვაციების (ტექნოლოგიური, ორგანიზაციული) მოტივაციას. შემოსავლების დიფერენცირება ამ შემთხვევაში კარგავს თავის განვითარების შესაძლებლობას. მეორე სახის დაბრკოლებას რაც შეეხება, შეიქმნება არაპროდუქტიული საზოგადოებრივი ხარჯები, მათ შორის სოციალური ტრანსფერები, რომელთა ზრდაც მიუთითებს არა კეთილდღეობის იდეის რეალიზებაზე, არამედ ინსტიტუციური წესრიგის პათოლოგიის მასშტაბზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა მდგრადი ეკონომიკური განვითარების, განსაკუთრებით ბაზრის გაძლიერების ძირითადი მიმართულებების შესახებ. სავაჭრო ლიბერალიზაციის, მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და ფასების საიმედოობის ლიბერალური მიდგომა, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს კერძო სექტორში, რათა უზრუნველყოს წარმოების ფაქტორების ეფექტიანი განაწილება და მდგრადი ზრდა, სულ უფრო არაადეკვატური ხდება. საჭიროა ისეთი კონცეფცია, რომელიც შეიმუშავებს სახელმწიფოს აქტიურ როლს, რაც უზრუნვეყოფს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას.

როგორც ამერიკელმა ეკონომისტამ **ჯონ სტიგლიცმა** აღნიშნა, არ არსებობს საფუძველი იმის დასამტკიცებლად, რომ პრივატიზაცია სავაჭრო ლიბერალიზაციასთან და ყველა ეკონომიკურ ფორმასთან ერთად, საკმარისია ბაზრების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. ამისათვის ერთ-ერთი წინაპირობაა საბაზრო საქმიანობების ინსტიტუციონალური საფუძვლების გაძლიერება, რომლებიც უზრუნველყოფენ საფინანსო სისტემის ეფექტურობას, თავისუფალ კონკურენციას, რომლებიც გამორიცხავს სტაბილიზაციის საწინააღმდეგო ქმედებებს - დემპინგურ ფასებს, კორუფციას, სუბსიდირებას, ისეთ სიტუაციას, როდესაც ბაზარზე არ არის სიცხადე და საზოგადოებასთან ურთიერთობა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბაზრის ინსტიტუციონალური საფუძვლების გაძლიერების სურვილი არ შეიძლება განიმარტოს, როგორც ეკონომიკის ადმინისტრაციული კონტროლი და ბაზრის გაფართოება, რაც, ტრადიციულად სახელმწიფოს ინტერვენციების გააზრებას ნიშნავს. ავტონომიური წესრიგის დამყარებისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია ავტონომიური სტიმულირების მექანიზმების შექმნა და განვითარება საბაზრო სტრუქტურების ყველა სუბიექტისა და მათთან დაკავშირებული საჯარო სამსახურების მიერ.

ეკონომიკური განვითარების ახალი პრაქტიკა წარმოიშვა მსოფლიოს ყველა ძირითად ეკონომიკაში, მათ შორის ერთ-ერთი არის **ცოდნის ეკონომიკა.** იგი გულისხმობს ეკონომიკური ცხოვრების ზოგიერთი ყველაზე ღრმა და უნივერსალური კანონზომიერების შეცვლას, რაც მკვეთრად ზრდის პროდუქტიულობას, შესაბამისად კეთილდღეობას და ეკონომიკის განვითარება ახალ ეტაპზე გადადის.

ცოდნის ეკონომიკა გულისხმობს ეკონომიკის ისეთ ტიპს, სადაც ეკონომიკური განვითარება განისაზღვრება ადამიანური კაპიტალის კონცენტრირებით წარმოებაში. ასეთი ტიპის ეკონომიკაში ზრდა და კონკურენტუნარიანობა განპირობებულია მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოებით. ცოდნის ეკონომიკაში ეკონომიკური განვითარების კონცეფციები ეფუძნება შეზღუდულ, ბუნებრივ და შრომით რესურსებს და კაპიტალის მაქსიმალური სარგებლიანობის პრინციპს.

ცოდნის ეკონომიკის განვითარებაში განმსაზღვრელი ფაქტორებია სხვადასხვა სახის ეკონომიკური საქმიანობის ცოდნის შესაძლებლობების და გლობალიზაციის ზრდა. ცოდნის ეკონომიკა არ ცვლის ეკონომიკის ტრადიციულ სისტემას, თუმცა ეს ეკონომიკური განვითარების უმაღლესი დონეა, ამ შემთხვევაში საზოგადოებაში სრულფასოვანი საქონელი არის ცოდნა, ის წარმოების ერთ-ერთი ფაქტორია და როგორც პროდუქტი უნიკალურია.[1]

ცოდნის დაგროვების შედეგად ვითარდება მაღალტექნოლოგიური დარგები და ადგილი აქვს ქვეყანაში ტექნოლოგიურ პროგრესს, რის საშუალებით შემდეგ ხდება

[1] გელაშვილი, მ. (2018). ცოდნის ეკონომიკა, როგორც ინოვაციური განვითარების ფაქტორი.

ინოვაციები. ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი კი სწორედ ინოვაციებია, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის შეუქცევად ეკონომიკურ ზრდას, რომელიც გამოიხატება რიცხვებში და შემდეგ უკვე თვისებრივ ცვლილებას ანუ უკვე ეკონომიკურ განვითარებას იწვევს.

თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკის განვითარების ტენდენციებიც სწორედ ინოვაციების სფეროში ვლინდება, რაც იმას ნიშნავს რომ ერთ-ერთი უახლესი მიმართულებაა განვითარების ეკონომიკაში, რის საშუალებითაც ადგილი აქვს როგორც ტექნოლოგიურ პროგრესს, ისე საზოგადოების კეთილდღეობის დონის ამაღლებას.

3.2 საქართველოს ეკონომიკური განვითარების თავისებურებები და მისი კონცეპტუალური მიდგომები

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წინაპირობაა იმ ახალი შესაძლებლობების გამოვლენა და გამოყენება, რომელსაც საბაზრო ეკონომიკა გვთავაზობს. განვითარებული ქვეყნების მაგალითმა გვიჩვენა, რომ აუცილებელია პრობლემების დაძლევა და მცირე და საშუალო ბიზნესის ჩამოყალიბებაზე ზრუნვა. რეალურ სექტორზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა უპირობოდ ქმნის ნიადაგს ეკონომიკური ზრდისთვის და შემდეგ სხვა მაჩვენებლებთან ერთად, შესაბამისად ეკონომიკური განვითარებისთვის.

ეკონომიკის ტრანსფორმაციის განხილვას უნდა შევეცადოთ მეოცე საუკუნის კოლოსალური პროგრესის პირობებში მიმდინარე მოვლენებით. ამ საუკუნისთვის დამახასიათებელია განვითარების მაღალი პოტენციალის მქონე ადამიანის ჩამოყალიბება, ინდუსტრიალიზმის კრიზისი და პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების დაწყება.[1]

[1] ბასილია, თ., სილაგაძე, ა., & ჩიკვაიძე, თ. (2001). *პოსტსოციალური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე.* თბილისი.

ახალი ინდუსტრიული საზოგადოების თეორიის აღწერა იწყება **ჯ. გელბრეიტის** ნაშრომებში, რომლის მიხედვითაც სრულყოფილი ტექნიკის გამოყენება იწვევს კაპიტალიზმის შიგნიდან გარდაქმნას. ამ კონცეფციის მიხედვით კერძო საკუთრების როლის ლიკვიდაცია ხდება და ეკონომიკური ძალაუფლება გადადის მსხვილ კორპორაციათა ხელში. ამის შემდეგ კი თანდათან ქრება მოსახლეობაში უთანასწორობა.

რაც შეეხება **პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორიას,** ამ თეორიის პირველი წარმომადგენელია ამერიკელი სოციოლოგი **დ. ბელი.** პოსტინდუსტრიული საზოგადოების დამახასიათებელი ნიშნებია: მაღალგანვითარებული ჰუმანური ადამიანის ბატონობა; სიძლიერის და სიმდიდრის მთავარი მაჩვენებელია არამატერიალური სიმდიდრე, ინტელექტუალური პოტენციალი; სამუშაო და თავისუფალი დროის შერწყმა; მუდმივი თვისებრივი ტრანსფორმაცია, განახლებადი რესურსების უპირატესი გამოყენება. განვითარების მთავარი ფაქტორია ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში.

პოსტინდუსტრიული საზოგადოება ხასიათდება ასევე გლობალური ეკონომიკით და მისი მთავარი ორიენტირია მსოფლიო ბაზარი. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დასაქმებულია ინფორმაციულ სექტორში. უმეტესად ხდება სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების გაერთიანება, რაც უწყობს ხელს ზოგიერთ სფეროში შრომის პროდუქტიულობის ამაღლებას. პროგრესის დონის მაჩვენებელია ადამიანის განვითარების ინდექსი და წმინდა კეთილდღეობა ერთ სულ მოსახლეზე. ამასთან ერთად წმინდა ცოდნის დინამიკაც ერთ-ერთი მაჩვენებელია.

დ. ბელი აღნიშნავდა რომ პოსტინდუსტრიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელია რამოდენიმე ძირითადი ნიშანი: 1) ინდუსტრიული საზოგადოებიდან სერვისულ საზოგადოებაზე გადასვლა ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ სამრეწველოზე დიდი როლი ენიჭება მომსახურების სფეროს; 2) თეორიული ცოდნის გადამწყვეტი მნიშვნელობა ტექნოლოგიური ინოვაციებისთვის; 3) დასაქმებულთა შორის ტექნიკოსების და პროფესიონალი სპეციალისტების ხვედრითი წილის ზრდა; 4) ტექნიკურ-ეკონომიკური გარემოს ორიენტაცია ტექნოლოგიების კონტროლზე და 5)

გადაწყვეტილების მიღების პროცესის უზრუნველყოფა ახალი ინტელექტუალური ტექნოლოგიების საფუძველზე.

ინდუსტრიული საზოგადოების თეორიიდან კიდევ ერთია **სუპერინდუსტრიალიზმის თეორია.** ამერიკელი სოციოლოგი **ელვინ ტოფლერი** გამოყოფს განვითარების სამ ტალღას.[1] პირველი ტალღა დაკავშირებულია აგრარულ, სასოფლო-სამეურნეო სივრცესთან და მან მართლაც დიდი როლი ითამაშა ეკონომიკური განვითარების ისტორიაში. მეორე ტალღა ინდუსტრიული ცივილიზაციის სახელითაა ცნობილი და შეიძლება ითქვას, რომ მან გარდაქმნა სამყარო. თუმცა ტოფლერის აზრით ცივილიზაციის ენერგეტიკა თანდათან კლებულობს. მესამე ტალღამ კი შექმნა წარმოებასა და მოხმარებაზე ორიენტირებული ინდივიდი, რომლის სულიერი ფასეულობების გარდაქმნაც მოხდა განვითარების ამ კონცეფციაში.

აქვე უნდა აღინიშნოს **ერთიან ცივილიზაციათა თეორია,** რომლის აზრი მდგომარეობს იმაში რომ მთლიანი საზოგადოების გარდაქმნა ხდება ერთ საზოგადოებად რომელიც თითქოსდა შეიძლება „ისტორიის“ დასასრული იყოს. ამასთან დაკავშირებით არის კიდევ **ცივილიზაციათა შეჯახების თეორია,** რომლის აზრი მდგომარეობს იმაში რომ მსოფლიო სულ უფრო მრავალპოლარული ხდება, როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური თვალსაზრისით,

რაც შეეხება განვითარების კონცეფციების გამოყენების შესაძლებლობებს, განვიხილავ საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციას და გარდამავალი ეკონომიკის კონცეფციას და შევეცდები ავხსნა როგორ შეიძლება მოხდეს კონცეფციების გამოყენება პრაქტიკაში.

ეკონომიკის საბაზრო მოდელზე გადასვლისას ძირითადად განიხილავენ ორ მოდელს, **შოკურ თერაპიასა** და **გრადუალიზმს**, თუმცა ეს მოდელები რამდენად შეიძლება განხორციელდეს პრაქტიკაში ეს უკვე საკამათო საკითხია, მაგრამ მათი თეორიული შინაარსის განხილვა გვაძლევს ზოგად წარმოდგენას ტრანსფორმაციის

[1] აბესაძე, რ. (2014). *ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი.* თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.

პროცესზე. თვითონ შოკური თერაპიის პროცესშიც გამოყოფენ უფრო სწრაფი გარდაქმნების პროცესს და შედარებით ნელ ტრანსფორმაციას.

შოკური თერაპიის ინსტრუმენტები ემთხვევა ნეოკლასიკურ **ვალრასის პარადიგმას,** რომელიც გულისხმობს ხისტ მონეტარულ პოლიტიკას, კონტროლს ხელფასებზე და სუბსიდიების შემცირებას და ზოგადად მთლიანი ეკონომიკის ფუნქციონირების სტაბილიზაციას.[1] ეს მეთოდი იქნა გამოყენებული საქართველოშიც, მაგრამ გააჩნდა თავისი სპეციფიკა ჩვენს ქვეყანაში და შეიძლება ითქვას, რომ ამ მეთოდმა საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობისთვის არ გაამართლა.

ევოლუციური ტრანსფორმაციის პარადიგმა ეყრდნობა ეკონომიკური პროცესების შუმპეტერისეულ ანალიზს, რომელიც ეყრდნობა რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებას. ინდივიდუალური და ორგანიზაციული ქცევის თანახმად ეკონომიკური აგენტი შეზღუდულია როგორც ფინანსური და მატერიალური რესურსებით, ასევე ინფორმაციითაც. მას გააჩნია შეზღუდული ინფორმაცია, ამიტომ რთულდება გადაწყვეტილებების მიღება, თუმცა რადიკალური ცვლილებები ამ კუთხით საზოგადოებას ძვირი უჯდება; შემდეგი გარემოება ეკონომიკური გარემოს ფაქტორი აქ იგულისხმება საბაზრო სექტორის ორგანიზაცია და ინფრასტრუქტურა; გასატარებელი ღონისძიებების სელექციური პროცესი, კერძოდ აქ იგულისხმება, რომ საბაზრო სისტემაზე გარდამავალ პროცესებს ახასიათებს წინააღმდეგობები, ისეთი როგორიცაა მაგალითად ის, რომ რადიკალურმა ცვლილებებმა შეიძლება შრომის მწარმოებლურობა დააქვეითოს.

რაც შეეხება **გრადუალიზმს**, ეს თეორია შოკური თერაპიისგან განსხვავებით გულისხმობს რეფორმები გატარების ნელ, მაგრამ მტკიცე ეტაპს. გრადუალისტური თეორიის წარმატებას სჭირდება მოსახლეობის მიერ მთავრობის სათავეში მყოფთა მხარდაჭერა და პოლიტიკური გარანტია და ასევე გარდაქმნისთვის საჭირო ფინანსური შესაძლებლობები.

---

[1] ბერიძე, თ. (1997). "შოკური თერაპია" და ევოლუციონისტური ტრანსფორმაცია: დეფინიციები და რეალობა. *სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა სტრატეგია და ტაქტიკა გარდამავალ პერიოდში* (გვ. 42-43). თბილისი: საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი.

გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ექვსი ძირითადი ქმედებისგან შედგება, რომელთაგანაც პირველი სამის განხორციელება შესაძლებელია უფრო სწრაფად შოკური თერაპიის მეშვეობით, ხოლო ბოლო სამის კი უფრო ეტაპობრივად. ეს ქმედებებია:

1. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია;
2. ფასების ლიბერალიზაცია;
3. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ეროვნული ვალუტის კონვერტულობის დაწესება;
4. საწარმო სექტორის რეფორმა;
5. სოციალური უზრუნველყოფის შემოღება;
6. საბაზრო ეკონომიკისთვის შესაბამისი აუცილებელი ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის შექმნა.[1]

პირველი სამი ქმედების განხორციელება შეუძლებელია შესაბამისი ინსტიტუტების შექმნის გარეშე, ამიტომ უკეთესი იქნება ამ ორი მიდგომის ერთდროულად გამოყენება.

კონკრეტულ ქვეყნებში განსხვავდება ეკონომიკური განვითარების კონცეფციების გამოყენება, რადგან ქვეყნების სპეციფიკაა განსხვავებული და მათი გარდაქმნის დროც სხვადასხვაა. ამიტომ, მართალია, მეთოდები გამოყენების მხრივ განსხვავდება, თუმცა კონცეფციების ძირითადი, სახელმძღვანელო საფუძველი, ზოგადად მაინც ერთია.

ტრანსფორმაციისა და გარდამავალი ეკონომიკის განსაზღვრა უკავშირდება მის კონკრეტულ შინაარსს, ანუ რა აზრია ჩადებული ამ პროცესში. საბაზრო ეკონომიკა სულაც არ არის გეგმიანი ეკონომიკის ანტიპოდი, არამედ ორივე ერთად ფუნქციონირებს თანამედროვე შერეული ეკონომიკის პირობებში. პოსტინდუსტრიული საზოგადოებისთვისაც დამახასიათებელია გეგმიანი ეკონომიკა ბაზართან ერთად, აქედან გამომდინარე გარდამავალი ეკონომიკის კონცეფცია არ გულისხმობს მხოლოდ

[1] ბურდული, თ. (2015). *ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში: გზა შოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე.*

მდგრად გაწონასწორებულ მდგომარეობაში გადასვლას, არამედ გულისხმობს ერთი გაწონასწორებული მდგომარეობიდან მეორე გაწონასწორებულ მდგომარეობაში გადასვლას.[1]

ეკონომიკური ტრანსფორმაციის თავისებურებების განხილვა მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა განისაზღვროს გარდამავალი ეკონომიკის კონცეფციის ძირითადი მიზნები, სტრუქტურა და შინაარსი. მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების საბოლოო მიზანია საქართველოში პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბება. თუმცა ეს არის ძირითადი მიზანი, რის განხორციელებისთვისაც აუცილებელია შუალედური მიზნების მიღწევა. უპირველესი შუალედური მიზანი არის ეკონომიკური კრიზისის დაძლევა, რომელიც დიდ ტვირთად აწევს ქვეყანას და ხელს უშლის განვითარებისთვის.

გარდამავალი ეკონომიკის პრობლემაა ინსტიტუტების ჩამოყალიბება და ძველი მემკვიდრეობით მიღებული რეჟიმისგან განთავისუფლება. ასევე მნიშვნელოვანია უშუალოდ ტრანსფორმაციული კრიზისის დაძლევა, საბაზრო ეკონომიკის მოდელის შერჩევა და გარდაქმნის სტრატეგიის სწორად ჩამოყალიბება, რათა პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს. საბჭოთა მემკვიდრეობა, პირველ რიგში, გამოიხატება მაკროეკონომიკურ არასტაბილურობაში, მზარდ ინფლაციასა და ცხოვრების დონის აშკარა გაუარესებაში.

ტრანსფორმაციის პროცესში დიდი როლი ენიჭება სახელმწიფოს, როგორც მარეგულირებელ ორგანოს. მისი გადაწყვეტილებების მიღების ხარისხზეა დამოკიდებული ქვეყნის განვითარების პერსპექტივები, რეფორმების გატარება და საბაზრო მეურნეობაზე გადასვლა.

გარდამავალი ეკონომიკის კონცეფციისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება **სამეურნეო წესრიგის ნეოინსტიტუციონალიზმის თეორიებს**, რადგან ნეოკლასიკურ თეორიას არ შეუძლია ახსნას საბაზრო მოდელის შემადგენელი ელემენტები, მისი სტრუქტურა და

[1] ბასილია, თ., სილაგაძე, ა., & ჩიკვაიძე, თ. (2001). *პოსტსოციალური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე.* თბილისი.

წარმომავლობა. ნეოკლასიკური თეორია განიხილავს მოცემულ მომენტში არსებულ ვითარებას, ხოლო ნეოინსტიტუციონალიზმის თეორიაში მნიშვნელოვანია ტრანსფორმაციის პროცესი. თუმცა თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ ეფექტურია ორივე თეორიის სინთეზის გამოყენება.

გარდამავალი ეკონომიკის კონცეფციის მიხედვით მთავარია არა ეკონომიკური პოლიტიკისა და მეურნეობრიობის რეფორმირება, არამედ სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ტრანსფორმაცია, რაც გამოიხატება ეკონომიკის ყველა ელემენტის ცვლილებაში, მათ შორის: რესურსების განაწილების წესის, კვლავწარმოების ტიპის, საკუთრებითი ურთიერთობების, მოტივაციის, ეკონომიკური განვითარების მიზნების, საშუალებებისა და ინსტიტუტების.[1]

აქედან გამომდინარე, კეთილდღეობისა და წესრიგის სხვადასხვანაირად კომბინაციამ პოსტსოციალურ ქვეყნებში, გარდამავალი ეკონომიკის სხვადასხვა მოდელებით განვითარება გამოიწვია. გადასვლის მოდელი განპირობებულია ქვეყნის სოციალისტური განვითარების ხანგრძლივობით, ინდუსტრიალიზაციის ხარისხით და და ტრანსფორმაციისთვის ხელშემწყობი ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა განათლების მაღალი დონე, ენერგეტიკული რესურსების არსებობა, საექსპორტო დარგების მაღალი ხვედრითი წილი და ასე შემდეგ. გარდამავალი ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკისთვის მნიშვნელოვანია სამეურნეო წესრიგის თეორიის, ნეოინსტიტუციონალიზმისა და ნეოკლასიკური თეორიების სინთეზი. სამეურნეო წესრიგი გულისხმობს საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ნორმებისა და წესების ერთობლიობას, ხოლო სამეურნეო წესრიგის კონცეფციის არსია ის, რომ ეკონომიკური სისტემები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ეკონომიკური მართვის პრინციპებითა და წესებით.

საქართველომ, როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანამ, ფაქტობრივად, ნულიდან დაიწყო რეფორმები. 1991 წლიდან, მას შემდეგ რაც რეფერენდუმის

[1] ბასილია, თ., სილაგაძე, ა., & ჩიკვაიძე, თ. (2001). *პოსტსოციალური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე.* თბილისი.

საუძველზე გამოეყო საბჭოთა კავშირს და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მრავალი რეფორმა გატარდა და განვითარების სხვადასხვა ეტაპიც გაიარა, თუმცა დღეს ისევ განვითარებად ქვეყნად ითვლება. იმ პერიოდში ჯერ კიდევ ტრანსფორმაციის პროცესში იყო საზოგადოება, რომელიც რთული გამოწვევების პირისპირ აღმოჩნდა. მიმდინარეობდა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და კულტურული ტრანსფორმაცია, ასევე გეგმიური ეკონომიკიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და ევროკავშირთან მჭიდრო ინტეგრაციის მცდელობა.

დამოუკიდებლობის შემდეგ ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა იყო გეგმიური ეკონომიკის შეცვლა საბაზრო ეკონომიკით, რაც არც ისე მარტივი აღმოჩნდა, განსაკუთრებით იმ პირობებში, რომ საქართველოს არ გააჩნდა ეკონომიკური ინსტიტუტები. გამოიკვეთა ეკონომიკური ტრანსფორმაციის ორი გზა გრადუალიზმი ან შოკური თერაპია, რომელთა შორისაც, ძირითადი განსხვავება ტრანსფორმაციის პერიოდშია.

საქართველომ ტრანსფორმაციისთვის შოკური თერაპიის გზას მიმართ, მაგრამ წარმატებით ვერ განხორციელდა. ამ პოლიტიკის მიზანი მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და სტრუქტურული გარდაქმნების განხორციელება გახლდათ. აღსანიშნავია, რომ სტრუქტურული რეფორმები გულისხმობს მთავრობის როლის შემცირებას. ამ კუთხით მნიშვნელოვანი რეფორმა იყო მიწის პრივატიზება, რაც გულისხმობდა სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემას.

შოკურ თერაპიას, ძირითადად, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და ფასების ლიბერალიზაციისთვის მიიჩნევდნენ მიზანშეწონილად, ხოლო სხვა სფეროებში, მაგალითად ვაჭრობის, მეწარმეობის და სოციალურ სფეროებში, რეფორმებს უფრო ხანგრძლივი პერიოდით განსაზღვრავდნენ.[1]

ტრანსფორმაციის ამ მეთოდის მიზანშეწონილობაზე შეიძლება ითქვას რომ საქართველოში მან არ გაამართლა, რადგან საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა საბჭოთა

[1] Fischer, Stanley, Sahay, Ratna and Vegh, Carlos. (1996). *Stabilization and growth in transition economies: The early.*

მემკვიდრეობაზე უარის თქმა და ახალი, დამოუკიდებელი, ლიბერალური სახელმწიფოს ასე ერთიანად შექმნა. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ იმ დროისათვის ბევრმა, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყანამ მიმართა ამ ხერხს, რადგან შოკური თერაპია მიიჩნეოდა ერთადერთ გზად რაც შეიძლება სწრაფად გარდაქმნილიყო სახელმწიფო დამოუკიდებელ სუვერენულ ქვეყანად.

საბაზრო ეკონომიკის შექმნის გზაზე შემდგარმა საქართველომ უკვე 1995 წლიდან თანდათანობით დაიწყო წინსვლა, რაც გამოიხატა ასევე ეკონომიკური სიტუაციის გამოსწორებაში. მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 2,6%ით და შემდეგ წლებშიც შედარებით სტაბილური პოლიტიკური ვითარების ფონზე კიდევ უფრო იზრდებოდა ეს მაჩვენებელი.

ასევე 1995 წელს გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმა ეროვნულ ვალუტასთან დაკავშირებით. ამ წლის სექტემბერში ჩანაცვლდა კუპონი ლარით, რამაც ჰიპერინფლაციის ტემპი შეამცირა 57%ით. ლარი თავიდან საკმაოდ მყარი ვალუტა აღმოჩნდა. მისი კურსი დოლართან მიმართებაში შეადგენდა 1,3-ს და მცირედით მერყეობდა მის ფარგლებში. ასევე ამ წლებში გაიზარდა ექსპორტი დაახლოებით 57%ით.

რაც შეეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, 1997 წელს შემოვიდა 243 მილიონი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როცა წინა წელს 4 მილიონი დოლარი იყო. წარმოდგენილ დიაგრამაზე ასახულია ამ მაჩვენებლის ცვლილება 1996 წლიდან 2018 წლამდე.

გრაფიკი 3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1996-2018 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ვხედავთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობამ საგრძნობლად მოიმატა განსაკუთრებით 2006 წლიდან, ხოლო ყველაზე მაღალ ნიშნულს 2017 წელს მიაღწია, რაც დაკავშირებული იყო მსოფლიო ეკონომიკის ზრდის დადებით ტენდენციასთან. კრიზისის შემდგომ 2016 წელს ჰქონდა ძალიან ბევრ ქვეყანას ყველაზე დაბალი ნიშნული, ამიტომ 2017 წელს სულ უფრო მეტი ქვეყნის ეკონომიკები გადავიდნენ ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპზე. ეს გარკვეულწილად გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკურმა გაჯანსაღებამ და ასევე ნავთობზე ფასების დასტაბილურებამ. ასევე მძლავრი ეფექტი იქონია საქართველოსა და ჩინეთს შორის ეკონომიკური კავშირების გაძლიერებამ, რაც „აბრეშუმის გზის“ მონაწილე ქვეყნებში ჩინეთის ინვესტიციების ზრდას ითვალისწინებს.

როდესაც ქვეყანა ადგილობრივად ვერ ახერხებს საკმარისი დანაზოგის შეგროვებას ინვესტიციების განსახორციელებლად, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ამ დროს უცხოური ინვესტიციები. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს

როგორც კაპიტალის დაგროვებას, ისე ტექნოლოგიური ცოდნის დაგროვებას და მართვის ახლებური პრაქტიკის შეძენას.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა გვაჩვენა, რომ მხოლოდ უცხოურ ინვესტიციებზე დაყრდნობა სამამულო ინვესტიციების სიმცირის გამო საკმაოდ საფრთხის შემცველია, რადგან სხვა განვითრებადი ქვეყნების მხრიდან იგრძნობა კონკურენცია უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის უმეტესობა მოდიოდა ენერგეტიკაზე, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე, მშენებლობისა და ფინანსურ სექტორზე, რაც სასარგებლო აღმოჩნდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდისთვის.

მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარების ეტაპებზე მსჯელობისას განვიხილოთ როგორი იყო საქართველოს ეკონომიკაში ექსპორტის და იმპორტის რაოდენობა 90-იანი წლებიდან დღემდე.

გრაფიკი 4 ექსპორტ-იმპორტი 1995-2018 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ზემოთ წარმოდგენილია ექსპორტის და იმპორტის ზრდის დინამიკა 1995 წლიდან 2018 წლამდე. იმპორტი ყოველთვის მნიშვნელოვნად აჭარბებს ექსპორტს. კიდევ

შესამჩნევია ისიც რომ ბოლო წლებში ექსპორტი შემცირდა. მისი გამომწვევი მიზეზები გარკვეულწილად უკავშირდება სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას, მის ეკონომიკური ზრდის ტემპებს და განვითარებას. ექსპორტის შემცირება ასევე შეიძლება გამოწვეული იყოს საექსპორტო საქონლის დივერსიფიკაციით. ზოგიერთი საქონელი სულ გაქრა ბაზრიდან, ამიტომ მივიღეთ ზემოთ აღნიშნული შედეგი.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს გააჩნია მცირე, ღია ეკონომიკა, მისი ზრდის პერსპექტივა დაკავშირებულია მის შესაძლებლობებთან აწარმოოს მეტი და კონკურენტუნარიანი საქონელი და შემდეგ გაიტანოს ექსპორტზე. როგორც ზემოთ მოყვანილი გრაფიკიდან ჩანს საქართველოს ექსპორტის ზრდის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იყო 2000 წლიდან. თითქმის წელიწადში საშუალოდ 10 პროცენტი იყო. უფრო მეტიც, 2006-2012 წლებში გაორმაგდა მისი მოცულობა, ხოლო ნომინალური ღირებულებით კი გასამმაგდა.

ეკონომიკური განვითარების ამ სტადიაზე, როცა საქართველო ჯერ კიდევ გარდამავალი ქვეყნების ჯგუფში შედის, ნაკლებად შესაძლებელია მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვანი ადგილის დაკავება, თუმცა განვითარების მაღალი პოტენციალი აქვს ქვეყანას რესურსებიდან და გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობიდან გამომდინარე.

თუ გავაგრძელებთ ქრონოლოგიას, საქართველოს განვითარების ეტაპების განხილვისას, მნიშვნელოვანია აზიის ფინანსური კრიზისი მეოცე საუკუნის ბოლოს, რომელმაც განსაკუთრებით აზიის ქვეყნებს მიაყენა დიდი ზარალი. ასევე დააზარალა რუსეთიც. იქიდან გამომდინარე, რომ იმ პერიოდში საქართველო ეკონომიკურად ძლიერ იყო დამოკიდებული რუსეთზე, ამ კრიზისმა საქართველოზეც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია.

ფინანსური კრიზისის პერიოდში 1998-2000 წლებში საგრძნობლად გაუარესდა საქართველოს მდგომარეობა, შენელდა განვითარების და ზრდის ტემპები. ეკონომიკური ზრდის ტემპი 2,5%-მდე დაეცა, ხოლო ლარის კურსი 2,0-ს გასცდა. ამ პერიოდში წლიური ინფლაციის ტემპმა 11%-ს მიაღწია.

გრაფიკზე მოცემულია საგარეო სავაჭრო ბრუნვა 1995 წლიდან 2001 წლამდე, სადაც ვხედავთ რომ საკმაოდ მცირდებოდა 1998 წლიდან 2000 წლამდე, რაც სწორედ აზიის ფინანსურ კრიზისს უკავშირდება.

გრაფიკი 5 საგარეო სავაჭრო ბრუნვა 1995-2001 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სწორედ ამ კრიზისის დროს საქართველოს ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორი იყო რუსეთი, ამიტომაც ეკონომიკური მდგომარეობა კრიზისის დროს საგრძნობლად გამწვავდა საქართველოში. კრიზისმა იმოქმედა როგორც სავაჭრო ბალანსზე, ისე ფასებსა და იმპორტ-ექსპორტზე.

რეალურად კი საქართველოს ყველაზე დიდი პრობლემა იყო ეკონომიკური რეფორმების პრაქტიკულად არქონა და ეკონომიკური სუბიექტების საკმაოდ პესიმისტური მოლოდინი. თუმცა ერთი უპირატესობა ის იყო, რომ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით საქართველოში საბანკო კრიზისი არ დაწყებულა, მაგრამ არსებული მწვავე სიტუაცია მალე ვერ გამოსწორდა, რადგან განვითარდა უძრაობის პერიოდი, რაც რა თქმა უნდა არც ისე სახარბიელოა განვითარების გზაზე შემდგარი ქვეყნისთვის.

ფასები იზრდებოდა როგორც იმპორტულ საქონელზე, ასევე იმ სამამულო საქონელზეც, რომლისთვის ნედლეულიც იმპორტით შემოდიოდა. ყველაფერთან ერთად მცირდებოდა საბიუჯეტო შემოსავლებიც, ხოლო სახელმწიფო ვალი

იზრდებოდა. ეკონომიკურმა აგენტებმა კი სავალუტო ბაზარზე მოახდინეს ზეწოლა, რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა კრიზისი. აქედან კი შედეგი იყო მხოლოდ ის, რომ შეიზღუდა სავალუტო ბაზარი და გაიზარდა მოთხოვნა დოლარზე. ყველაფერმა ამან იმოქმედა ჯერ კიდევ ახალ შექმნილ ვალუტაზე, რომელსაც ისედაც არ ჰქონდა მოპოვებული საზოგადოების ნდობა. ბაზრის შეზღუდვამ, პესიმისტური მოლოდინით და რისკის ფაქტორით გამოწვეულმა შიშმა ლარის კურსი კიდევ უფრო დაბალ ნიშნულამდე დაიყვანა.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეკონომიკურ განვითარებას ახასიათებს ციკლურობა, რაც იმას ნიშნავს რომ კრიზისს ყოველთვის მოსდევს აღმავლობის ფაზა, შემდეგ სწრაფი ზრდა და როდესაც უკვე მიაღწევს პიკს შემდეგ მოსალოდნელია ისევ კრიზისი.

ასე მოხდა აზიის ფინანსური კრიზისის შემდეგაც საქათველოს ეკონომიკური ზრდის ტემპი აჩქარდა. 2003 წელს უკვე ეკონომიკა დაახლოებით 11%ით გაიზარდა, ეს გამოიწვია ძირითადად ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის ზრდამ. კიდევ ერთი ფაქტორი, რამაც დადებითი გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე იყო ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობა.

ცხრილი 1 პროდუქციის გამოშვება 1999-2003 წლებში

წლები	მლნ ლარი
1999	**152,4**
2000	**178,7**
2001	**165,8**
2002	**176,9**
2003	**219,1**

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილიდან ვხედავთ, რომ 2003 წელს საგრძნობლად მოიმატა პროდუქციის გამოშვებამ და შესაბამისად ვაჭრობამ, უფრო მეტად დადებითი ეფექტი კი მივიღეთ სოფლის მეურნეობის განვითარების გამო. თუმცა 2003 წელს მრავალ ნეგატიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი, მათ შორისაა საბიუჯეტო და ენერგო კრიზისი, კორუფციის

მაღალი დონე და კრიმინალი. ახალმა მთავრობამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები გაატარა, რომლებიც ეფუძნებოდა დერეგულაციას, ეკონომიკურ თავისუფლებას მოდერნიზაციას, რაც მიზნად ისახავდა სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიღწევას.

საქართველოს ეკონომიკა 2004-2007 წლებში საგრძნობლად გაიზარდა თუმცა მაღალი იყო მაინც ინფლაციის ტემპი და საშუალოდ წლიური ინფლაცია 8,4%-ს უდრიდა. ხოლო 2007 წელს დაფიქსირდა ინვესტიციების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, რაც შეიძლება ითქვას, რომ 2017 წლამდე რეკორდი იყო საქართველოსთვის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა აისახა ამ პერიოდის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის დარგობრივ ჭრილში. მშპ-ს დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი გვაძლევს ქართული ეკონომიკური განვითარების გარკვეულ სურათს. გამოიკვეთა მშენებლობის, ვაჭრობის უძრავი ქონების სფეროს გაუმჯობესება, რაც ზრდის საფინანსო სექტორს. ასევე გაიზარდა სახელმწიფოს როლი განათლების, ჯანდაცვის და სოციალური დახმარების კუთხით. თუმცა ეს ყველაფერი ხდება სოფლის მეურნეობის სფეროს გაუარესების ფონზე. აქედან გამომდინარე არ ვითარდება ქვეყნის რეალური სექტორი, რის შედეგადაც იზრდება საგარეო სავაჭრო დეფიციტი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მოხმარება უფრო მეტად იზრდება, ვიდრე წარმოება. ამ დროს შეიძლება გაიზარდოს საშინაო და საგარეო ვალი მშპ-სთან მიმართებით და ქვეყანა გადახდისუუნარო გახდეს.

სოფლის მეურნეობის სექტორის გაუარესებამ, საგარეო სავაჭრო დეფიციტის მუდმივმა ზრდამ და ქვეყნის რეალური, მწარმოებლური სექტორის განუვითარებლობამ გამოიწვია უმუშევრობა და ეკონომიკური უთანასწორობა. 2003-2012 წლებში უმუშევრობა ნელ-ნელა იზრდებოდა, ხოლო 2009 წელს ამ მაჩვენებელმა 18%-ს გადააჭარბა.

დიაგრამა 3 უმუშევართა რაოდენობა 2003-2012 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიუხედავად საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით ჯინის კოეფიციენტი მაინც უცვლელი რჩება, რაც იმის მანიშნებელია, რომ მოსახლეობის დაბალ ფენებზე ეკონომიკური ზრდა ნაკლებად აისახა. აქედან გამომდინარე სიღარიბის პრობლემა გადაუჭრელი დარჩა, და მიუხედავად სირარიბის დონის კლებადი ტენდენციისა, 2012 წელს მოსახლეობის 30% მაინც აბსოლუტურ სიღარიბეში ცხოვრობდა.

დიაგრამა 4 ჯინის კოეფიციენტი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს ეკონომიკა 2013-2017 წლებში საშუალოდ 3,9%-ით იზრდებოდა და ეკონომიკური ზრდის მიხედვით რეგიონი მოწინავე პოზიციას იკავებდა, მაგრამ ეს ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა. ასეთი ტემპი ვერ იწვევს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. აღნიშნული მაჩვენებელი შეიძლება არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგიც იყოს.

ამ პერიოდში არ შეინიშნება საგარეო სავაჭრო დეფიციტის მხრივ პოზიტიური ცვლილება, აქედან გამომდინარე საქართველოს ეკონომიკა ისევ აგრძელებს მოხმარებაზე ორიენტირებული ეკონომიკის გაგრძელებას. თუმცა აღსანიშნავია მთლიანი ეროვნული დანაზოგების კუთხით მზარდი ტენდენცია. ეს კი უმნიშვნელოვანესია სამამულო ინვესტიციების განხორციელებისთვის, რაც თავის მხრივ, გაზრდის ქვეყნის მწარმოებლურობას. ინვესტიციების საშუალო მაჩვენებელი 2013-2017 წლებში იყო მშპ-ს 30%. თუმცა ეს ყველაფერი მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი სწრაფი ეკონომიკური ზრდის ტემპის უზრუნველყოფისთვის. ამ ეტაპზე კვლავ მნიშვნელოვანი რჩება ქვეყნისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

ნაშრომის თემიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განვიხილოთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები და სტრატეგია. რადგანაც ვერც ერთი კონცეფცია ვერ იქნება სასარგებლო თუკი ის არ გვისახავს სამომავლოდ განვითარების გეგმებს. თეორიები ყოვლად უსარგებლოა თუ მათი გამოყენება არ ხდება პრაქტიკაში.

მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში წარმოიშვა უამრავი პრაქტიკული თუ თეორიული პრობლემა, რომელთა დაძლევაც საკმაოდ რთული აღმოჩნდა. პოსტსოციალისტური ქვეყნებისთვის ერთადერთ ალტერნატივად საბაზრო ეკონომიკა დაისახა, თუმცა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა თანამედროვე ეკონომიკური თეორიების გათვალისწინების გარეშე სრულიად უშედეგოა.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, საბაზრო ურთიერთობის მშენენებლობის პროცესში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეფექტიანი სტრატეგიისა და ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება, რაც ეკონომიკური თეორიის მოშველიებით უნდა მოხდეს, რადგან მხოლოს პრაქტიკა ამ შემთხვევაში არაეფექტიანია. საბაზრო ურთიერთბის ფორმირების პროცესში აუცილებელია ჩამოყალიბებული პრობლემების ანალიზი, რათა გათვალისწინებული იქნას ყველა ბარიერი და შესაბამისად დაისახოს სამოქმედო გეგმა.

სწორედ ამიტომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი საკმაოდ გაჭიანურდა, რადგან დაიწყო საკმაოდ მოუმზადებლად, ეკონომიკური თეორიების გაუთვალისწინებლად და მხოლოდ პრაქტიკაზე დაყრდნობით. შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული ერთ-ერთი მიზეზია საქართველოში შოკური თერაპიის წარუმატებლად განხორციელებისა.

ცალკე განვითარებადი ქვეყნებისთვის მორგებული ეკონომიკური თეორია არ არსებობს, სხვადასხვა თეორიების გამოყენებით უნდა მივიდეთ სასურველ შედეგამდე. მოწინავე ეკონომისტების მიერ შექმნილი ეკონომიქსი ვერ ამართლებს განვითარებად ქვეყნებზე, რადგან ეს ეკონომიკური თეორია შექმნილია და ოპტიმალურად ერგება მაღალგანვითრებულ ქვეყნებს და საბაზრო ეკონომიკას, ამიტომ ნაკლებად გამოიყენება პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. თავდაპირველად ასეთ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც უპირატესობა ენიჭებოდა კლასიკურ თეორიას, სადაც სახელმწიფოს ჩარევა საბაზრო ურთიერთობებში მინიმუმამდე იყო დაყვანილი, მაგრამ შედეგებმა აჩვენა, რომ პოსტსოციალისტურ ქვეყანას ასეთი ლიბერალური დამოკიდებულება

პოზიტიურ ცვლილებებს ვერ მოუტანს. ამიტომ აუცილებელი გახდა სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის გაზრდა.

ზემოთ მოცემულიდან გამომდინარე, საქართველოს პერსპექტივა არის ის, რომ დაისახოს ეკონომიკური განვითარების მიზანშეწონილი სტრატეგია. რომელიც უზრუნველყოფს გარდამავალი ქვეყნის მდგომარეობის შესაბამისად, მის განვითარებას, სრულყოფას, მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას და ზოგადად ეკონომიკური გარემოს გამოჯანსაღებას.

რაც შეეხება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმას, ეს მიმართულება ბოლო ხანებში საკმაოდ პრიორიტეტული გახდა, ამიტომ სხვადასხვა პროგნოზების საფუძველზე სახელმწიფომ შეიმუშავა სოციალური-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია და სამოქმედო გეგმაა თანამედროვე საქართველოში, რომელიც ასახავს მთავრობის ხედვას თუ სად ვართ დღეს და სად ვიქნებით 2020 წელში. დოკუმენტი შეიქმნა 2014 წელს და მასში ასახული სტრატეგიის მიხედვით იკვეთება სამი ძირითადი პრიორიტეტი, ესენია:

- კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდა;
- ადამიანური რესურსების განვითარება;
- ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

კერძო სექტორის ანუ მწარმოებლური სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდა ნიშნავს ისეთ პრობლემების გადაჭრას, როგორიცაა სიღარიბე და სამუშაო ადგილების შექმნა და, შესაბამისად, უმუშევრობა. ადამიანური რესურსების განვითარება გულისხმობს ასევე ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი პოლიტიკის გატარებას, რაც მოიცავს, ასევე ადამიანთა მაქსიმალურად ჩართულობას ეკონომიკური განვითრების პროცესებში, მიუხედავად ყველაფრისა. ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ბუნებრივი რესურსების მიზანშეწონილად გამოყენება, რაც ნიშნავს ეკონომიკურ უსაფრთხოებას და მდგრად ეკონომიკურ განვითრებას.

ცხადია, თითოეული მიმართულება აერთიანებს საკითხთა ფართო სპექტრს, რომლებიც მოიცავს საზოგადოების ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან სფეროს.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დოკუმენტი არ არის ორიენტირებული მხოლოდ განვითარებაზე, არამედ მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა კონკრეტული სოციალური პრობლემების მოგვარების გზები, ასევე ეკონომიკის სფეროში მიღწეული შედეგები და ასე შემდეგ. დოკუმენტი წარმოადგენს იდეოლოგიურ ხედვას, თუმცა ამავდროულად ცხადდება შეზღუდული სახელმწიფოს იდეა და მცირე რეგულაციების არსებობის აუცილებლობა, ასევე მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება საყოველთო განათლების და სოციალური დახმარების პროგრამებზეც.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული დოკუმენტის მიზანი არის საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება და გრძელვადიანი ინკლუზიური ზრდისთვის საფუძვლის ჩაყრა. დასახული მიზნების განხორციელება შესაძლებელია პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების საშუალებით:

1. კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა:
    - საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება;
    - ინოვაცია და ტექნოლოგიები;
    - ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა;
    - ინფრასტრუქტურის განვითარება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება.
2. ადამიანური რესურსის განვითარება:
    - შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება;
    - სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა;
    - ხელმისაწვდომის და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა.
3. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა:
    - საინვესტიციო რესურსების მობილიზება;
    - ფინანსური შუამავლობის განვითარების ხელშეწყობა.

თითოეულ პრიორიტეტს გააჩნია თავის განსაზღვრული მიზანი და საბოლოოდ 2020 წლისთვის იგეგმება შემდეგი მაჩვენებლების მიღწევა:

ცხრილი 2 „საქართველოს განვითარების სტრატეგია 2020“ მისაღწევი საპროგნოზო მაჩვენებლები

მაჩვენებელი	მიმდინარე მაჩვენებელი	საპროგნოზო მაჩვენებელი
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარი, ნომინალური)	**5811,7**	**13000**
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარი, მუდმივ ფასებში)	**5811,7**	**9200**
ჯინის კოეფიციენტი	**0,41**	**0,35**
ინფლაცია (%)	**2,4**	**3,0**
უმუშევრობა (%)	**15,0**	**<12,0**
გადასახადები (წილი მშპ-ში, %)	**24**	**25**
ექსპორტი (საქონელი და მომსახურება, წილი მშპ-ში, %)	**45**	**65**
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (წილი მშპ-ში, %)	**<10**	**6**
სახელმწიფო ვალის მიმართება მშპ-სთან (%)	**34**	**<40**

წყარო: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „ საქართველო 2020“

ასევე, აღნიშნული მიზნების მისაღწევად, საჭიროა, რომ ეკონომიკის რეალური ზრდის ტემპი წლიურად საშუალოდ 7%-ს შეადგენდეს. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი არის კერძო სექტორის თავისუფლების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს ისეთი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბებას, როდესაც კერძო სექტორი თავად მიიღებს გადაწყვეტილებებს და ეკონომიკური განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად კერძო სექტორი მიიჩნევა. სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობას, ოპტიმალური და ეფექტიანი მთავრობის პრინციპზე დაყრდნობით. სახელმწიფო მინიმალურად უნდა ჩაერიოს სამეწარმეო საქმიანობაში და კონკურენცია არ უნდა გაუწიოს კერძო სექტორს.

დასკვნა

ეკონომიკური განვითარება და ზოგადად ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება შეუძლებელია მხოლოდ პრაქტიკის საშუალებით. თეორია, საფუძველია იმ ყველაფრის, რასაც შემდეგ მოსდევს ზრდის პროცესი. რომ არა ეკონომიკური განვითარების კონცეფციები არ იქნებოდა, რაიმე კონკრეტული სახით ჩამოყალიბებული მოდელი, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა დავკვირვებოდით ესა თუ ის ქმედება რა შედეგს მოიტანს. შეუძლებელია კონცეფციების გარეშე დადებითი შედეგის მიღწევა, რადგან წარმოუდგენელია ბრმად, ეკონომიკური თეორიების ცოდნის გარეშე დაადგეს ქვეყანა განვითარების გზას და წარმატებით განხორციელდეს ეს მცდელობა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მაგალითზე განსაკუთრებით მნიშველოვანი აღმოჩნდა ეკონომიკური განვითარების კონცეფციების გამოყენება. გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანა აღმოჩნდა რთული გამოწვევის წინაშე, როდესაც საბჭოთა კავშირიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა. ფაქტობრივად გამოუცდელი ერი დადგა უამრავი პრობლემის პირისპირ და სწორედ ამ დროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სწორი კონცეფციის შერჩევა, რომელიც უნდა დახმარებოდა ქვეყანას საკუთარი ეკონომიკური სისტემის და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.

ეკონომიკური განვითარების კონცეფციები იქმნებოდა სხვადასხვა დროს და სხვადსხვა ეკონომისტების თუ მეცნიერების მიერ, ამიტომ შეუძლებელია, რომელიმე თეორია იყოს სრულყოფილი და მორგებული ყველა ქვეყნისთვის. არსებობს სხვადასხვა განვითარების დონის ქვეყნები და მათი ეკონომიკური სისტემა ცხადია განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად ლიბერალიზმი, რომელიც გულისხმობს თავისუფალი ბაზრის და შეზღუდული მთავრობის კონცეფციას, ყოველთვის ვერ ამართლებს განვითარებად ქვეყნებში, რადგან ასეთ სახელმწიფოებში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია, რომ მთავრობას მარეგულირებელი ფუნქცია გააჩნდეს. როდესა ქვეყანას გააჩნია ჩამოუყალიბებელი ეკონომიკური ინსტიტუტები ამ შემთხვევაში მთავრობის როლი იზრდება რეგულირების მხრივ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეკონომიკური განვითარების ფუძემდებლურ ფაქტორად უპირობოდ, შესაძლებელია დასახელდეს ინოვაციები, ტექნოლოგიური პროგრესი და მწარმოებლური სექტორის განვითარება. ამ ყველაფრის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება გლობალიზაციის პირობებში, რადგან ტექნოლოგიები ისევე სწრაფად იზრდება გლობალიზაციის პირობებში, როგორც კაპიტალი, ასევე ძლიერდება კონკურენცია და ერთობლივი ძალებით კიდევ უფრო სწრაფად მიღწევადია ტექნოლოგიური პროგრესი.

და ბოლოს, საქართველოს აქვს განვითარების მაღალი პოტენციალი, რადგან მას უწყობს ხელს როგორც გეოპოლიტიკური მდებარეობა ისე ტრადიციები და ისტორია. თუმცა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აღნიშნული განვითარების კონცეფციები სწორი მიმართულებით იქნას გამოყენებული და მიმართული ეკონომიკის იმ სფეროზე, რომელიც ჩამოაყალიბებს ნამდვილად დამოუკიდებელ სახელმწიფოს როგორც პოლიტიკურად, ისე განვითარების მხრივაც. როდესაც ქვეყანა ეფუძნება ერთ რომელიმე სფეროს მისი განვითარებაც მასზე ხდება დამოკიდებული. მაგალითად თუკი განვითარება დამოკიდებულია ტურიზმზე ანდა უდიდესი წილი უკავია იმპორტს, ნებისმიერ დროს შეიძლება დაემუქროს საფრთხე ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, რადგან ეს გარკვეულწილად ნიშნავს სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულებას.

ასე რომ, ეკონომიკური განვითარების კონცეფციები მნიშვნელოვანია განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, რადგან არ გააჩნიათ საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების გამოცდილება და მათთვის ეკონომიკური თეორიების გამოყენება პოზიტიური შედეგის მომტანია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესაძე, რ. (2014).** *ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი.* თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.

2. **ანანიაშვილი, ი., აჩელაშვილი, კ., მესხია, ი., პაპავა, ვ., სილაგაძე, ა., & წერეთელი, გ. (2003).** *მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები.* თბილისი: "მეცნიერება".

3. **ბასილია, თ., სილაგაძე, ა., & ჩიკვაიძე, თ. (2001).** *პოსტსოციალური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე.* თბილისი.

4. **ბერიძე, თ. (1997)**. "შოკური თერაპია" და ევოლუციონისტური ტრანსფორმაცია: დეფინიციები და რეალობა. *სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა სტრატეგია და ტაქტიკა გარდამავალ პერიოდში* (pp. 42-43). თბილისი: საერთაშორისო სამეცნიორ სიმპოზიუმი.

5. **ბურდული, თ. (2015).** *ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში: გზა შოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე.*

6. **გელაშვილი, მ. (2018).** ცოდნის ეკონომიკა, როგორც ინოვაციური განვითარების ფაქტორი.

7. **ვეშაპიძე, შ. (2015).** *ეკონომიკის საფუძვლები.* დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია.

8. **კაკულია, რ. (2007).** ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თეორიული ასპექტები. *ეკონომიკური პროფილი.*

9. **მექვაბიშვილი, ე. (2016).** *თანამედროვე ეკონომიკური თეორიები.* თბილისი.

10. **ოქროცვარიძე, ა., ლაჭყეპიანი, თ., & ოქროცვარიძე, ლ. (2010).** *მსოფლიო ეკონომიკა.* თბილისი: სტამბა "ზეკარი".

11. **ქოქიაური, ლ. (2017).** ეროვნული ინოვაციური სისტემის კონცეფციის კონცეპტუალური საფუძვლები. *ინოვაციური ეკონომიკა და მართვა/INNOVATIVE ECONOMICS AND MANAGEMENT*, 11-13.

12. **ჩიქობავა, მ. (ლექციების კურსი).** *ეკონომიკური ზრდის თეორიები.*

13. **ჰეინე, პ. (2011).** *ეკონომიკური აზროვნება.* თბილისი: თავისუფალი უნივერსიტეტის გამომცემლობა.

14. **Ahiakpor, J. C. (2018).** *On the Future of Keynesian Economics: Struggling to Sustain a Dimming Light.*

15. **Archibald, R. W., & Sleeper, S. (2008).** *Government Consolidation and Economic Development in Allegheny County.* RAND Corporation.

16. **Fischer, Stanley, Sahay, Ratna and Vegh, Carlos. (1996).** *Stabilization and growth in transition economies: The early.*

17. **Nielsen, K. (2016).** *Economic theory.*

18. **romer, d. (1996).** *advanced macroeconomics.*

19. **Todaro, M. P., & Smith, S. C. (2011)**. *Economic Development 11th ed.* Pearson Education and Addison-Wesley.

20. **полиньски, р. (2006).** главные теоретические концепции. *НАУКА И ИННОВАЦИИ*, 31.

21. **СЕМЧЕНКО, А. (2015).** Концепции экономического развития в экономической науке. *Известия Гомельского государственного университета*.

ინტერნეტ რესურსები:

1. http://pc-axis.geostat.ge/PXWeb.

2. https://www.geostat.ge/ka.

3. https://www.researchgate.net